# შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№2 (9.862)

2 - 9 თებერვალი 2019 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


## არხილოსკალო-სამთაწყაროს გზის აღდგენა იწყება



გვ. 2

## მძიმე პოლიტიკური სასჯელი თუ დისკრედიტაციის იარაღი?


გვ. 2

## რატომ დააკავეს 3 მამაკაცი?


გვ.2

# როდის აშენდება ზემო მაჩხაანში სკოლა?

ორის ნაცვლად 3 სართულიან შენობას 5 მილიონი მოხმარდება


გვ. 3

ნიკოლოზ ჯანიაშვილი:

„მინდა დავამშვიდო მაჩხაანელები, ხელშეკრულება უკვე გაფორმებულია და პროცესი არ შეფერხებულა. სამშენებლო კომპანია „დაგი-კონსტრაქშენსი" სამუშაოებს 4 824 999 ლარად შეასრულებს და სკოლის მშენებლობას 2020 წლისთვის დაასრულებს"

## წითელას 6 შემთხვევა დედოფლისწყაროში


გვ. 5


გვ. 4

## საქიროებამ გადამადგმევინა ეს ნაბიჯი



## ახალი წიგნისა და განათლების რეფორმების შეფასება


გვ. 3


გვ. 5

## ხორნაბუჯისა და სამთაწყაროს სკოლების რეაბილიტაციას 142 500 ლარი მოხმარდება, სხვა სკოლებს 180 000 ლარი

# მძიმე პოლიტიკური სასჯელი თუ დისკრედიტაციის იარაღი?

რამდენიმე წლის წინ, ერთ-ერთ ცნობილ პოლიტიკოსზე გადაღებულმა ცხოვრების ინტიმური დეტალების გასაჯაროვებამ დაანგრია მისი ოჯახი და ცხოვრებაც რადიკალურად შეცვალა. ეს ადამიანი საერთოდ გაქრა როგორც პოლიტიკური ავანსცენიდან, ასევე საჯარო სივრციდანაც.

საზოგადოების პროგრესულად მოაზროვნე ნაწილმა მაშინვე დაგმო იმ ადამიანთა ქცევა, ვინც დაარღვია ადამიანის უპირველესი- პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, თუმცა, საზოგადოების ნაწილი არ აღმოჩნდა სოლიდარული არც დაზარალებულის და არც დამნაშავეთა მგმობების მიმართ.

რამდენიმეხნიანი პაუზის შემდეგ, ფარული ჩანაწერების თემამ კვლავ შეგვახსენა თავი. კადრების გამავრცელებლებმა ამჯერად საჯარო სივრცე აღარ გამოიყენეს და პირადი ცხოვრების ამსახველი დეტალების გავრცელების ფორმა შეცვალეს. როგორც დეპუტატმა დავით ჭიჭინაძემ განაცხადა, კადრები პირადი შეტყობინებების სახით ეგზავნებოდათ ადამიანებს.

ანგარიშსწორების ძველი ფორმის ახალი სამიზნე მმართველი გუნდის წევრი ეკა ბესელია იყო. ოპოზიციის მიერ გაჟღერებული ბრალდების მიხედვით, სადამსჯელო ორგანიზაცია თავად მმართველი გუნდი იყო, რომელმაც თავისივე წევრს არ აპატია თვითნებობა და წინააღმდეგობის გაწევისთვის დასაჯა. ბევრი წინა პრეცედენტებთან პარალელს ავლებდა და ამბობდა, რომ ასე ყველა განდგომილს სჯიან... ზოგიერთი კი ამტკიცებდა, რომ ბესელია იმ მოსამართლეებმა დასაჯეს, ვის წინააღმდეგაც გაილაშქრა. როგორც ამბობენ, ეს იყო შეცდომა, რისთვისაც მას უმკაცრესად უნდა გადაეხადა.

ნაციონალური მოძრაობის მიერ გამოტანილ „ვერდიქტზე" ქილიკობდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები, რომელთაც დღეს ოპოზიციაში გადაბარგებულებს შეახსენეს, რომ დანაშაულებრივი კადრების შექმნაც და გავრცელების მუქარით შანტაჟიც მათი „შემოქმედებაა". ეს კადრები ხელისუფლებაში მოსვლიდან მოკლე ხანში გაანადგურა „ქართულმა ოცნებამ". თუმცა, როგორც ჩანს, ისინი კვლავ რჩება გარკვეული ჯგუფის საკუთრებაში.

პოლიტიკოსი ეკა ბესელია არ შეუშინდა მუქარას და განაცხადა, რომ ამ ფორმით მას ვერ გააჩერებენ. სასჯელის მძიმე ფორმის მიუხედავად, ის დანებებას არ გეგმავს და აცხადებს, რომ პოზიციას არ შეცვლის. „ვისაც მე ვუპირისპირდები, იმ ადამიანებისგან ველოდები ყველა აკრძალული მეთოდის გამოყენებას, - ამის შესახებ უმრავლესობის დეპუტატმა ეკა ბესელიამ განაცხადა და დასძინა, რომ იმ ადამიანებს, ვინც მას ასეთი მეთოდებით ებრძვის, თანაგუნდელებს ვერ უწოდებს: "მე ასეთ ადამიანებს თანაგუნდელებად არ მივიჩნევ. მე ასეთ ადამიანებს მივიჩნევ ან სააკაშვილის ხელისუფლების წარმომადგენლებად ან მათ გამგრძელებლად, მიუხედავად იმისა, რა სახელი ჰქვიათ დღეს, რომელი პოლიტიკური ქოლგის ქვეშ არიან. ადამიანების ეს ჯგუფი მე არ მიმაჩნია ჩემს თანაგუნდელად".

კითხვაზე, იყო თუ არა სიცრუე, რომ თავის დროზე აღნიშნული ჩანაწერი განადგურდა, ბესელიამ აღნიშნა, რომ მისი მოპოვების შესაძლებლობა არსებობდა. "ეს მტკიცებულება არ განადგურებულა, დარჩა მასთან, ვინც ჩანაწერი უკანონოდ განახორციელა, ეს იყო წინა ხელისუფლება, ეს ჩანაწერი დარჩა სისხლის სამართლის საქმეში, დევს იქ, როგორც მტკიცებულება და ეს პროცესი არ დასრულებულა. მისი მოპოვების შესაძლებლობა, რა თქმა უნდა, არსებობდა, ხოლო როგორ მოხდა, ვინ და რატომ გააკეთა ეს, გამოძიებამ უნდა დაადგინოს", - განაცხადა ბესელიამ.

ხელისუფლებამ ფარული კადრების გავრცელება შეაფასა, როგორც მიუღებელი და მძიმე დანაშაული და საქმეც აღძრა. 1 თებერვალს შსს-მ ფარული ჩანაწერების გავრცელების ბრალდებით 16 პირი დააკავა.

ჩემთვის, როგორც ერთი რიგითი ქართველისთვის, საგანგაშოა ფაქტი, რომ ანგარიშსწორების ყველაზე დაუნდობელი მეთოდი და პიროვნების დისკრედიტაციის იარაღი- პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გასაჯაროვება, კვლავ აქტუალურია ქართულ საზოგადოებაში. ისევ მუშაობს შანტაჟის სქემა- არსებობს შენზე კომპრომატები და თუ რამეს გაბედავ, გავავრცელებთ. საზოგადოების ნაწილი დაზაფრულია და შიშის ქვეშ ცხოვრობს, რადგან ფსიქოლოგიური ტერორის ეს ფორმა ყველაზე დამთრგუნველია...მთავარი კი ისაა, რომ ჩვენს საზოგადოებაში ეს დანაშაულად არ კვალიფიცირდება, ხოლო ანგარიშსწორების ობიექტი ნაკლებად იწვევს ადამიანებისგან სიბრალულს, პირიქით, ის მთავარ დამნაშავედაც კი აღიქმება. ამიტომაცაა, რომ ასეთი განწყობის ფონზე, ძნელია იყო თამამი და სასწორზე დადო შენი და ოჯახის ღირსება... დათრგუნული და შეშინებული ადამიანები თავისუფლები ვერასოდეს იქნებიან და ვერასოდეს შექმნიან ბედნიერ მომავალს...

ინგა შიოლაშვილი

# გიორგი ქობულია უმუშევრობის კომპენსაციის ინიციატივაზე - საქართველოს ამის ფუფუნება არ აქვს, თუმცა, რაღაც ფორმით ამის გაკეთება შეიძლება განვიხილოთ

ეკონომიკის მინისტრი გიორგი ქობულია აცხადებს, რომ რომან კაკულიასინიციატივა უმუშევრობის კომპენსაციის შესახებ საინტერესო აზრია.

„მიმაჩნია, რომ რომან კაკულიას ინიციატივა უმუშევრობის კომპენსაციის შესახებ, საკმაოდ საინტერესო აზრია და ყურადღებას ითხოვს. საქართველოს ამის ფუფუნება არ აქვს, თუმცა, რაღაც ფორმით შეიძლება განვიხილოთ ამის გაკეთება", - განაცხადა ქობულიამ.

შეგახსენებთ, რომ დარგობრივი ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე რომან კაკულია საქართველოში უმუშევრობის კომპენსაციის დანერგვის ინიციატივით გამოდის.

„უმუშევრობის კომპენსაციის მყისიერად შემოღების უნარი დღეს მთავრობას არ გააჩნია, მაგრამ ჩვენ უნდა შევკრათ ეს ციკლი და დავიწყოთ ამ საკითხზე მსჯელობა", - განაცხადა რომან კაკულიამ.

# არხილოსკალო-სამთაწყაროს გზის აღდგენა იწყება

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში არხილოსკალო-სამთაწყაროს გზის სრული რეაბილიტაცია გაზაფხულზე დაიწყება. უკიდურეს სასაზღვრო ზოლთან მდებარე სოფელთან დამაკავშირებელი გზის ყველაზე რთული მონაკვეთი ათეულობით წელია მოუწესრიგებელია. განსაკუთრებით რთული რელიეფის გამო გადაადგილება გართულებულია.

როგორც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი ამბობს, რეაბილიტაციის პროცესი თებერვლიდან დაიწყება. გზით სამთაწყაროს, ფიროსმანის და საბათლოს მაცხოვრებლები ისარგებლებენ.

საავტომობილო გზების დეპარტამენტში განაცხადეს, რომ მხოლოდ ამ პროექტზე 4 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება.

„სამუშაოები ორ ლოტად მიმდინარეობს. ერთია არხილოსკალო-სამთაწყაროს გზის მონაკვეთი და მეორე გუმბათი-ხირსა-ენამთა. პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება. გუმბათი-ხირსა-ენამთის შვიდკილომეტრიანი მონაკვეთის რეაბიიტაციისთვის 3 888 000 ლარია გათვალისწინებული და სამუშაოები უკვე დაწყებულია, რაც შეეხება სამთაწყარო-არხილოსკალოს, აქ ექვსი კილომეტრია და რეაბილიტაციისთვის 4 127 000 ლარია განსაზღვრული. ვაფორმებთ ხელშეკრულებას და სამუშაოებს გაზაფხულზე დავიწყებთ," - განაცხადეს საავტომობილო გზების დეპარტამენტში.

უწყების ინფორმაციითვე, გუმბათი-ხირსა-ენამთის გზის რეაბილიტაცია ცხრა თვის, ხოლო არხილოსკალო-სამთაწყაროს მონაკვეთის მშენებლობა რვა თვის ვადაში უნდა დასრულდეს.

დედოფლისწყაროს სოფლები სამთაწყარო, ფიროსმანი და საბათლო საქართველო-აზერბაიჯანის საზღვართან, ალაზნისპირასაა გაშენებული და რაიონული ცენტრისგან მკვეთრად მოწყვეტილია. ადმინისტრაციულ ცენტრთან მიმოსვლას გზის არარსებობა აფერხებდა. ადგილობრივებს განსაკუთრებით დაბრკოლებები ზამთარში და რთველის პერიოდში, მოსავალის ტრანსპორტირების დროს ექმნებათ. მოსახლეობა მრავალი წელია გზის აღდგენას ითხოვდა, თუმცა, პრობლემის მასშტაბურობის გამო მისი გადაჭრა ამ დრომდე ვერ მოხერხდა.

ილია მარტყოფლიშვილი

## ცხადდება ვაკანსია

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიაში გამოცხადდა ღია კონკურსი შემდეგ ვაკანტურ თანამდებობაზე:

1. პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ზედამხედველობის სამსახურის უფროსი.

განცხადებების რეგისტრაცია სწარმოებს ელექტრონულად, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებ.გვერდზე www.hr.gov.ge

განცხადების რეგისტრაციის ბოლო ვადა მიმდინარე წლის 9 თებერვლის ჩათვლით.

# რატომ დააკავეს სამი მამაკაცი?

***პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევისა და სხეულის დაზიანების ბრალდებით დედოფლისწყაროს სოფელ ხორნაბუჯში, საჯარო სკოლის ეზოში მდებარე სტადიონთან მომხდარი ინციდენტის დროს შსს დედოფლისწყაროს პოლიციის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა სამი მამაკაცი დააკავეს. 22, 35 და 39 წლის ასაკის დაკავებულები სოფელ სამრეკლოს მაცხოვრებლები არიან, ერთერთი მათგანი, ირაკლი გლახოშვილი 6 შვილის მამაა. გლახოშვილების მრავალშვილიანი ოჯახი სოციალურად დაუცველია და თავს საარსებო შემწეობით ირჩენს.***

სიღნაღი-დედოფლისწყაროს პროკურორის, გოჩა ჯანყარაშვილის მტკიცებით, ძმები დავით და რობიზონ ყოჩიაშვილები და ირაკლი გლახოშვილი ბილწსიტყვაობდნენ და აგრესიას გამოხატავდნენ, რა დროსაც ადგილზე მისულმა სამართალდამცავებმა დაშლისა და დამშვიდებისკენ მოუწოდეს, რასაც მათი მხრიდან პოლიციელებზე თავდასხმა მოჰყვა. მხარეებს შორის ინციდენტი 27 იანვარს სტადონზე მოხდა.

„შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დაკავებულების მიმართ ბრალდების მხარის მიერ იყო ჩამოყალიბებული, ნათლად ადასტურებს 353-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის



ჩადენას. მიმდინარეობს გამოძიება და სავსებით შესაძლებელია ბრალის დამძიმებაც", – აღნიშნავს პროკურორი გოჩა ჯანყარაშვილი.

სიღნაღის რაიონულმა სასამართლომ 30 იანვრის სხდომაზე პოლიციელისთვის წინააღმდეგობის გაწევისთვის დაკავებული 3 ახალგაზრდა პატიმრობაში დატოვა. გადაწყვეტილება მოსამართლე მერაბ ღვინიაშვილმა გამოაცხადა. სხდომაზე დაცვის მხარე გირაოს შეფარდებას ითხოვდა, თუმცა მოსამართლემ ბრალდების მოთხოვნა დააკმაყოფილა.

ბრალდების საწინააღმდეგო ვერსია აქვთ დაკავებულებს. მათი ოჯახის წევრები და ადვოკატები სიღნაღის სასამართლოს გადაწყვეტილებას გაასაჩივრებენ.

მათი თქმით, პოლიციელებმა უფლებამოსილებას გადააჭარბეს და ახალგაზრდების მიმართ იძალადეს. დაკავებულები განმარტავენ, რომ პოლიცია მათ მუდმივად დევნის იმის გამო, რომ გლახოშვილი და მისი ძმა წარსულში ყაჩაღობაზე არიან ნასამართლევი.

„ისინი არაფერ შუაში არ იყვნენ. სტადიონიდან მაღაზიისკენ მიდიოდნენ, რადგან სხვები ჩხუბობდნენ და უნდოდათ გაეშველებინათ. ფაქტიურად, ამ ადგილას სრულიად შემთხვევით მოხვდნენ," – ამბობს დაკავებულის მეუღლე, მრავალშვილიანი დედა ლია სურმანიძე.



ადვოკატი ამბობს, რომ სხეულის დაზიანება არა დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველოს თანამშრომელს, არამედ თავად დაკავებულებს აღენიშნება.

„სამივეს მიმართ იყო ძალადობის ფაქტები განხორციელებული. მე ვიზუალურადაც დავაკვირდი და მითუფრო ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს ვიზუალურად ეტყობა როგორც შუბლზე, ლოყაზე, როგორც მახსოვს და ყურზე აქვს განსაკუთრებულად მძიმედ მიღებული დაზიანება, რაც, როგორც ვიცი აღბეჭდილია მისი დროებით იზოლატორში შესვლისას გასინჯვის პერიოდში" – აცხადებს ერთ-ერთი ბრალდებულის ადვოკატი ნინო ანდრიაშვილი.

სიღნაღის მოსამართლის გადაწყვეტილებით, სამივე დაკავებული წინასწარი პატიმრობის ორთვიან ვადას სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს შესაბამის დაწესებულებაში მოიხდის. მომდევნო სასამართლო სხდომა კი 22 მარტს 11:30 საათზეა ჩანიშნული. დანაშაული 4 დან 7 წლამდე ვადით პატიმრობას ითვალისწინებს. ბრალის საბოლოოდ დამტკიცების შემთხვევაში სასამართლო შესაბამის სასჯელს სწორედ 22 მარტს გამოაცხადებს.

ილია მარტყოფლიშვილი

# მე-12 კლასელებისთვის წელს გამოსაშვები გამოცდები აღარ ჩატარდება

მე-12 კლასელებისთვის წელს სკოლის გამოსაშვები გამოცდები აღარ ჩატარდება.

მე-12 კლასელებისთვის საატესტატო გამოცდების წელსვე გაუქმების შესახებ 1 თებერვალს გამართულ ბრიფინგზე პრემიერ-მინისტრმა, მამუკა ბახტაძემ განაცხადა.

პრემიერის თქმით, ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტი არის განათლების მიღება სკოლაში.

„განათლების სისტემის რეფორმა არის სწორედ ჩვენი მთავარი პრიორიტეტი 2019 წელს და მომდევნო წლებში. მოგეხსენებათ, განათლების სამინისტრომ გამოაცხადა ცვლილებები საატესტატო გამოცდებთან დაკავშირებით. ჩვენ გვჭირდება ძლიერი და დამოუკიდებელი სკოლა, რომელიც ორიენტირებული იქნება განათლების მიღებაზე და არა იმაზე, რომ გამოცდებისთვის მოვამზადოთ ჩვენი მომავალი თაობა. განათლების მიღება სკოლაში — ეს არის ყველაზე დიდი პრიორიტეტი. შესაბამისად, ჩვენი მიზანია, რომ სკოლა და მისი ფუნდამენტი გავაძლიეროთ. ამასთან ერთად, განათლების სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება საატესტატო გამოცდების მოხსნასთან დაკავშირებით 2019 წელს, რომელიც შეეხება მე-11 კლასელებს, ხოლო 2020 წელს მე-11 და მე-12 კლასებისთვის. ეს იყო პრინციპულად სწორი მიდგომა, თუმცა ბუნებრივია, ჩვენ გავაგრძელეთ ამ საკითხთან დაკავშირებით კონსულტაციები და შესაბამისად, მივიღე გადაწყვეტილება, რომ სკოლის დამამთავრებელი გამოცდები წელსვე მოეხსნათ როგორც მე-11 კლასელებს, ისე მე-12 კლასის მოსწავლეებს“, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

ამასთან, პრემერ-მინისტრის განმარტებით, წელს აბიტურიენტები უმაღლეს სასწავლებლებში ისევ ჩააბარებენ ეროვნულ გამოცდებს და სისტემის ცვლილების ეს ნაწილი 2020 წლიდან ამოქმედდება.

28 იანვარს განათლების სისტემის ახალი მოდელის პრეზენტაციაზე ცნობილი გახდა, რომ ატესტატის გაცემის წესი იცვლება და შესაბამისად, სკოლებში გამოსაშვები გამოცდები მოიხსნება. თავდაპირველი გადაწყვეტილებით, 2019 წელს გამოსაშვები გამოცდები მხოლოდ მე-11 კლასის მოსწავლეებისთვის გაუქმდა, ხოლო მე-12 კლასელებისთვის წელს გამოცდების შენარჩუნება იგეგმებოდა. აღნიშნულ გადაწყვეტილებას აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა, საზოგადოების ნაწილი მიიჩნევდა, რომ გამოსაშვები გამოცდები მე-12 კლასელთათვისაც უნდა გაუქმებულიყო.

# ახალი წიგნისა და განათლების რეფორმების შეფასება



დაახლოებით ერთი კვირის წინ, 25 იანვარს, კიდევ ერთი საინტერესო წიგნის პრეზენტაცია გაიმართა. წიგნს „ლიტერატურის დამხმარე სახელმძღვანელო“ ჰქვია და მისი ავტორი, ხორნაბუჯის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი, რუსუდან გონაშვილია, თანაავტორ ეკატერინე შარაშიძესთან ერთად. ავტორის გაცნობასთან ერთად, გაზეთი „შირაქი“ დაინტერესდა, თუ ვისთვისაა წიგნი განკუთვნილი, სად და როგორ შეეძლება ნებისმიერ მსურველს მისი შეძენა, როგორ მოვიდა მისი შექმნის იდეა. გარდა ამისა, საუბარი შეეხო იმ მნიშვნელოვან საკითხებსაც, როგორიცაა გამოცდების სისტემის გაუქმება, მასწავლებლების პროფესიონალიზმის პრობლემა, რეპეტიტორი მასწავლებლების აუცილებლობის საკითხი და ა.შ.

**-რუსუდან, მოგვიყევით ცოტა რამ თქვენს შესახებ.**

დავიბადე დედოფლისწყაროს რაიონის, ჩემთვის უსაყვარლეს სოფელ არბოშიკში. აქვე გავიზარდე. 1989 წელს დავამთავრე დედოფლისწყაროს №1 საშუალო სკოლა. ეს ის წელია, როდესაც ერთბაშად აირია და დაგვემხო თავზე ყველაფერი, იმიტომ რომ 1989 წელს გამოცხადდა დამოუკიდებლობა. ძალიან აჟიტირებულები ვიყავით იმ დროს მოსწავლეები. რაც შეგვეძლო ყველანაირად, ბავშვური თავაშვებულობითაც, სითამამითაც პროკლამაციებს ვაკრავდით, გვქონდა მოწოდებები სტადიონზე, დიდ მიტინგებსაც ვაწყობდით. ერთი-ორი საათი ე.წ „კაპეზეშიც“ ვისხედით. ამით იმის თქმა მინდა, რომ ძალიან მოუსვენარი და არასტანდარტული აზროვნების ადამიანი ვიყავი. სკოლის დამთავრების შემდეგ ჩავაბარე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, დავამთავრე და დავვოჯახდი. ამჟამად უკვე 20 წელია ხორნაბუჯის საჯარო სკოლაში ვმუშაობ და პარალელურად ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულების დოქტორი ვარ.

**-რატომ გადაწყვიტეთ მასწავლებლობა, რომელიც საინტერესოსთან ერთად რთული პროფესიაცაა...**

– ხშირად მიფიქრია მაგაზე, რატომ ვარ მასწავლებელი. ნამდვილად ვერ მოგატყუებთ, რომ ეს ჩემი ბავშვობის აუხდენელი და სანუკვარი ოცნება და სურვილი იყო. ქართული ძალიან მიყვარდა და ბევრს ვკითხულობდი. ანალიტიკური აზროვნებაც ხელს მიწყობდა და სულ რაღაც თავგადასავლებს ვეძებდი ნებისმიერ აკადემიურ თუ არააკადემიურ წასაკითხ ტექსტებში. ვფიქრობ, ჩემი ქართულის მასწავლებელი იყო ის პიროვნება, ვინც საბოლოოდ მაფიქრებინა, რომ ჩემი ცოდნა, თუ რამე მქონდა ქართულში, მომავალი თაობისთვის უნდა გადამეცა. ამ მასწავლებლის სახელი და გვარია ნანა მერაბიშვილი, რომლისაც დღემდე ძალიან მადლობელი ვარ.

**– მოგვიყევით თქვენი ახალი წიგნის შესახებ. ვისთვისაა ის განკუთვნილი, რატომ გადაწყვიტეთ მისი გამოშვება და როგორ მოვიდა მისი შექმნის იდეა?**

ეს ჩემთვის უკვე მეორე წიგნია, პირველი წიგნი ორი წლის წინ გამოვუშვი. ის ლიტერატურის სიტუაციურ-საკომუნიკაციო სავარჯიშოები იყო უფროსკლასელთათვის. ამ წიგნის ავტორი მხოლოდ მე არ ვარ, მყავს თანაავტორიც. მე სახელმწიფო ენის მასწავლებელთა ასოციაციის დამფუძნებელი და აღმასრულებელი დირექტორიც ვარ, სადაც ჩემი მოადგილე სწორედ ჩემი თანაავტორი ეკატერინე შარაშიძეა. წიგნის სათაურია „ლიტერატურის დამხმარე სახელმძღვანელო უფროსკლასელთა და აბიტურიენტებისთვის“. იდეა ყოველთვის აქვს პრაქტიკოს მასწავლებელს. შეიძლება ეს რეალურად არ განხორციელდეს და არ გამოუშვას წიგნი, მაგრამ იდეა, რომ რაღაც არის შესაცვლელი სწავლებაში, ტექსტების ანალიზში, ყველა პრაქტიკოსი მასწავლების თავშია და ამ მხრივ, მე განსაკუთრებული არაფერი გამიკეთებია. იმ პრობლემის მოსაგვარებლად, თუ როგორ ვასწავლოთ ლიტერატურა და როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს ტექსტების ანალიზში, ამან გააჩინა წიგნის შექმნის იდეა. წიგნის შექმნა ტექნიკურად უფრო სწრაფად მოხდა. ძალიან გვინდოდა არასაპროგრამო ტექსტებში ახალი ნაწარმოებები, ახალი მწერლები შეგვეტანა, იმიტომ, რომ არასაპროგრამო ტექსტები გაცვდა. ერთი და იგივეს ატრიალებს ყველა გამომცემელი, ყველა ავტორი და ეს ტექსტები მოსწავლეებმა უკვე ზეპირად ისწავლეს. გასაგებია, რომ საპროგრამო ტექსტებს ჩვენ ვერაფერს ვერ მოვუხერხებთ და ვერ შევცვლით, მაგრამ არასაპროგრამო ტექსტები ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო. შერჩევისას აქცენტი გავაკეთეთ ძირითადად ნობელიანტ და არამარტო ნობელიანტ მწერლებზე. ვიდრე ტექსტებს შევარჩევდით, ჩემს სოციალურ ჯგუფში „ქართული ენა და ლიტერატურა“, სადაც 7000-მდე ქართულის მასწავლებელია გაერთიანებული, დავდეთ გამოკითხვა, თუ რომელი მწერლებია დღეს თქვენი მოსწავლეებისათვის საინტერესო. გამოკითხვა იმიტომ დაგვჭირდა, რომ ძალიან გაგვიჭირდა ქართველი მწერლების შერჩევა. უცხოელები შევარჩიეთ, მაგრამ ქართველ მწერლებთან პროზაში გვქონდა კატასტროფა. ვერ ვნახეთ ისეთი ტექსტი, რომლის ანალიზსაც ბავშვი შეძლებდა. აღმოჩნდა, რომ აკა მორჩილაძეს კითხულობს ძალიან ბევრი, ასევე დათო ტურაშვილსაც. ისეთი მწერლებიც დასახელდა, რომელსაც არ ვიცნობდით. ჩვენი მიზანი ისეთი თემატიკის შერჩევა იყო, რაც დღევანდელი ახალგაზრდობისთვის აქტუალური იქნებოდა. გაამართლა კიდეც, რადგან სულ 20 დღეა. რაც წიგნი დაიბეჭდა და პრეზენტაციის შემდეგ უკვე მეორე ტირაჟი იბეჭდება. ყველაზე დიდი აღფრთოვანება გამოიწვია სწორად შერჩეულმა ავტორებმა და თემატიკამ. წიგნში არის პრაქტიკული რჩევები, რეკომენდაციები, როგორ მივიდეთ ტექსტის მთავარ სათქმელამდე, როგორ ამოვიცნოთ მისი დამახასიათებელი სტილური თავისებურებები და ა.შ. წიგნის შეძენა მსურველებს ბიბლუსის ქსელში შეუძლიათ, 13, 95 ლარად. ასევე ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე რამდენიმე მაღაზიაში, დადიანის ქუჩაზე წიგნების მაღაზიაში, რეგიონებში, ბათუმშია შესაძლებელი შეძენა და ხელმისაწვდომია საქართველოს ფოსტით გამოწერაც. წიგნის შეძენა შესაძლებელია ასევე საქართველოს აკადემიურ გამომცემლობა „საგაში“, სადაც მისი ფასი 13 ლარია.



**-განათლების ახალ რეფორმაზე რომ ვისაუბროთ, რომელიც საატესტატო გამოცდების გაუქმებასა და მისაღები გამოცდების საგნებს ეხება. რა დადებით და უარყოფით მხარეებს გამოყოფდით თქვენ, როგორც პრაქტიკოსი მასწავლებელი?**

– გამოცდების გაუქმებას, ალბათ, ჰყავს მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც. რა თქმა უნდა, ყველაფერს აქვს გაცვეთილი შაბლონი. უტყუარი ჭეშმარიტებაა, რომ მედალს ორი მხარე აქვს. მე მაინც მიმაჩნია, რომ ამ მოვლენას უფრო მეტი დადებითი აქვს. ეს გამოცდები გასაუქმებელი იყო და რატომ. მოსწავლეებს ნამდვილად არაფერში არ სჭირდებოდათ იმ გამოცდებისთვის მიღებული ცოდნა. დამახსოვრებას და გონების ვარჯიშს რაც შეეხება, დღეს მოსწავლე ველარ ხედავს ამის საჭიროებას. ის გამოცდები ფაქტობრივ ცოდნაზე იყო ორიენტირებული, რასაც რეალურ ცხოვრებაში ვერ იყენებდა მოსწავლე. ბავშვებს პირველი კითხვა, რაც უჩნდებათ, არის ის, თუ რატომ მასწავლი? რისთვის მასწავლი? რაში უნდა გამოვიყენო ეს ცოდნა? ეს არის ზუსტად ამოსავალი წერტილი. დღევანდელი ბავშვისთვის ნებისმიერი ტექსტის სწავლა უინტერესო იქნება, თუ რაღაც კავშირი არ მოძებნა ცხოვრებასთან. სკოლამ თუ რაღაც უნარი არ შესძინა მოსწავლეს, რომელსაც ის ცხოვრებაშიც გამოიყენებს , ის ცოდნა არის დაკარგული. გამოცდების ხარჯი, მოსწავლეთა სტრესი, მშობელთა უამრავი დახარჯული მატერიალურ-ფინანსური ხარჯები ცალკე, ამიტომ, ვფიქრობ, ძალიან კარგია, როცა ასეთ არაფრისმომცემ, სახელმწიფო და სისტემურ დონეზე დაარსებულ- დაფუძნებულ რაღაცას აუქმებ. კი, ეს საშიშროებას იწვევს, რომ აღარ ისწავლიან ბავშვები ფიზიკას, ბიოლოგიას, გეოგრაფიას და აღარ შემოვლენ გაკვეთილზე. მაგრამ, კატასტროფაა, როცა მასწავლებელი ერთადერთი იმით აჩერებს მოსწავლეს, რომ თუ ისინი გაკვეთილზე არ შემოვლენ, საგანს ვერ ჩააბარებენ. ბავშვი გაკვეთილზე შემოვა თუ არ შემოვა, უკვე აღარ არის მნიშვნელოვანი. ვფიქრობ, მასწავლებელსაც შანსი გაუჩნდება, რომ რაღაც სხვა მოტივაცია მოძებნოს და ისე შევიდეს კლასში, რომ მოსწავლე დააინტერესოს. მსგავსი ცოდნა არ არის ის ცოდნა, რომლითაც მოსწავლე რეალურად რაღაცას მიაღწევს.

**-NDI-ის ბოლო კვლევის თანახმად, მასწავლებლების პროფესიონალიზმს საჯარო სკოლებში „კარგად“მხოლოდ 36% აფასებს, 73% კი ფიქრობს, რომ მისაღები გამოცდებისთვის რეპეტიტორი აუცილებელია. თქვენი აზრით, რამ გამოიწვია ასეთი შედეგები?**

– მეოცე საუკუნის 70-იან წლებში იმიტომ ვართ ისევ დარჩენილები, რომ აზროვნებაც ისევ ისეთი გვაქვს. რატომღაც ყველა მიიჩნევს, რომ სკოლაში ცოდნის მიღება არ შეიძლება. მასწავლებელი, ხშირ შემთხვევაში, ცდილობს, მეტი ენერგია რეპეტიტორობისთვის შეინახოს, თუმცა სახლში ის განსაკუთრებულს არაფერს არ უხსნის მოსწავლეს. უხსნის იმას, რაც გაკვეთილზე უნდა აუხსნას ან აუხსნა კიდეც. მაგრამ თვითონ მენტალიტეტი მშობლისაც და ბავშვისაც არის ის, რომ თუ არ მოამზადე დამატებით, ის ცოდნას ვერ მიიღებს. არადა, მასწავლებლების კვალიფიკაცია სულაც არაა ასეთი მაჩვენებლის დადების მიზეზი. მასწავლებელი დღეს საქართველოში ბევრ რამეს აკეთებს, იმაზე მეტს, ვიდრე მოეთხოვება, ვიდრე საჭიროა, როგორც პროფესიული, ასევე თვითგანვითარების მიზნით. მაგრამ ასეთი შედეგის მარტო მასწავლებელზე დაბრალება, ნამდვილად არ შეიძლება და ვერც მივემხრობი. ვისაც არ ეზარება, დღეს ყველა მასწავლებელს ლანძღავს. მიმაჩნია, რომ არ უნდა იყოს ერთნაირი მოთხოვნები ყველა სკოლის მიმართ. ამ სკოლას იმისთვის, რომ თანამედროვე მიდგომები მოსთხოვო, ჯერ სხვა რაღაცეები აქვს გასაკეთებელი. სკოლას, რომელსაც კომპიუტერი არ აქვს, კლასში პროექტორის შემოტანისა და მისით სწავლების საშუალება არ ეძლევა, არ შეიძლება მოსთხოვო სისტემურ დონეზე ისეთი სწავლება, როგორც პირველ ექსპერიმენტულ სკოლას ან კლასიკურ გიმნაზიას აქვს, სადაც საოცარი ინფრასტრუქტურაა შექმნილი. სკოლებს, თვითონ შიგნით არ აქვთ იმის საშუალება, რომ თვითონ დაადგინონ, რა სჭირდებათ და იმის მიხედვით იმოქმედონ. მთავარი პრობლემა ესაა. ცალკე პრობლემაა სახელმძღვანელოებიც, იმიტომ, რომ ვერ გაიგებ, რას ანიჭებენ გრიფს და რას არა , თანაც არ არსებობს ერთნაირი სისტემა. ჩემს სკოლაში სხვა წიგნია, გვერდით სკოლაში სხვა. მერვე კლასელი აქ სხვა წიგნით სწავლობს, იქ სხვა წიგნით. არ არსებობს კომპლექსური მიდგომა. კვლევაში, რომელიც მენტორობისთვის ჩავატარე, გამოჩნდა ბევრი რამ: მასწავლებელს ცალსახად სჭირდება თანადგომა. სკოლას ისეთი პირობები უნდა ჰქონდეს შექმნილი, რომ მასწავლებელი სკოლაში განვითარდეს და არ მოუწიოს მას უამრავი დროის დაკარგვა. მას ურჩევნია სკოლაში კოლეგისგან მიიღოს რჩევა - დარიგება. ვფიქრობ, რომ სკოლის შეფასების ჯგუფები ძალიან კარგ რამეს აკეთებს და კარგი რჩევების მიცემაც შეუძლიათ. შექება, მოწონება ყველას სიამოვნებს. ეს უფრო მეტს აკეთებინებს მასწავლებელს, ვიდრე ის, რომ სოციალურ ქსელში შესვლის ან სტატიის წაკითხვის შემდეგ შეშინებული იყოს და რცხვენოდეს რომ მასწავლებელია. არ შეიძლება, რომ მასწავლებელს ყოველ დღე ლაფი დაასხა. მასწავლებელს აღარ რჩება აღარაფრის უფლება. იგი უუფლებო ხდება.

**-რა რჩევას მისცემდით თქვენს კოლეგებს, მშობლებს?**

– ძალიან დიდი სურვილი მაქვს, რომ ყველა მშობელი თავის შვილს დაუბრუნდეს. ზოგიერთი ბავშვი სკაიპით ცნობს მშობელს. როგორც გინდა კეთილი მიზნებისთვის იყოს მშობელი წასული, ბავშვს მშობელს ვერავინ და ვერაფერი შეუცვლის. ჩემი ძალიან დიდი სურვილი იქნება, ქვეყანაში ისეთი დრო დადგეს, რომ ბავშვი მშობელთან იყოს და მშობელი ბავშვის განვითარებით დაინტერესდეს. მასწავლებლებს კი მინდა მეტი მოთმინება, მეტი თავდადება, მეტი შემეცნებისკენ სწრაფვა და საკუთარი ძალების რწმენა ვუსურვო, ასევე ამბიციაც, რომლის გარეშეც არაფერი მიიღწევა. ვფიქრობ,რომ მასწავლებელზე და ზოგადად ადამიანზეა დამოკიდებული, თუ რას დაისახავს და რას მიაღწევს, მაგრამ მიზნის მისაღწევად მარტო მისი დასახვა არ არის საკმარისი. სურვილიც უნდა გქონდეს, ნებაც და მზად უნდა იყო ყველაფრისთვის.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

# საჭიროებამ გადამადგმევინა ეს ნაბიჯი

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნდა შემდეგი განცხადება: „ქ.დედოფლისწყაროს ცენტრში, ფიროსმანის ქ. №2-ში, სათნოების სახლის II სართულზე ფუნქციონირება დაიწყო ღვინის ლაბორატორიამ, სადაც თანამედროვე ტექნოლოგიით ღვინოს უტარდება ქიმიური და ორგანოლეპტიკური შემოწმება“. დღეს ჩვენ მოგაწვდით უფრო ვრცელ ინფორმაციას ლაბორატორიის დაარსების აუცილებლობასა, მისი მუშაობის სტრუქტურასა და იმ ადამიანების შესახებ, ვინც ეს მეტად მნიშვნელოვანი საქმის ორგანიზება აიღო თავის თავზე. ლაბორატორია დააარსა ინდმეწარმე „მარინე ბაიდოშვილმა“. სწორედ მის **ხელმძღვანელს** მაია ბაიდოშვილს ვესაუბრებით:



**– ქალბატონო მაია, რამ განაპირობა, გეფიქრათ ასეთი ლაბორატორიის დაარსებაზე?**

– ყველასათვის ნათელია, რა დიდი პერსპექტივები აქვს ქართულ ღვინოს მსოფლიო ბაზარზე. ვხედავთ, სახელმწიფოს მხარში დგომით და ხელშეწყობით როგორ ინტენსიურად იზრდება ვენახების აღდგენა, გაშენება, საოჯახო მარნების მომრავლება ხომ ამ დარგს უფრო მომგებიანს ხდის. ამ ფონზე მსგავსი ლაბორატორია არ ფუნქციონირებდა არა მარტო ჩვენს რაიონში, არამედ არც სიღნაღსა და ლაგოდეხში. ამან წარმოშვა იდეა, მაგრამ იდეის განხორციელების იმედი გაგვიჩნდა მაშინ, როდესაც „აწარმოე საქართველოშიმ“ გამოაცხადა საგრანტო კონკურსი ლაბორატორიის გახსნის თაობაზე. მივიღე მონაწილეობა ამ კონკურსში და მინდა გითხრათ, დიდი ძალისხმევა დამჭირდა, დამერწმუნებინა კომისია აქ ლაბორატორიის გახსნის აუცილებლობაში. კონკურსში გავიმარჯვე და მივიღე გრანტი თანადაფინანსებით 16 ათასი - 6 ათას ლარზე სულ 22 ათასი. ვიქირავეთ მუნიციპალურ ბალანსზე არსებული ფართი ყოფილი სტატისტიკის სამმართველოს შენობის მეორე სართულზე სამი ოთახი და შევუდექით ინტენსიურ სარემონტო სამუშაოებს. ეს მოხდა გასული, 2018 წლის სექტემბერში. დღეს ყველაფერი არის მზად და ჩვენ უკვე ვფუნქციონირებთ იანვრის თვიდან. მზად გვაქვს ლაბორატორია, სადეგუსტაციო ოთახი და ღვინის ენოთეკის დარბაზი. ყველაფერი აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიით და დიზაინით.

**– უფრო მეტად რომ დააკონკრეტოთ თქვენი საქმიანობის შესახებ...**

– ჩვენთან შესაძლებელია, ლაბორატორიულად გაკეთდეს ყურძნის და ღვინის თორმეტი კომპონენტის კვლევა: **ყურძენში განისაზღვრება შაქრის პროცენტული შემცველობა, რეალური და ტიტრული მჟავიანობა. ღვინოში ხდება ეთილალკოჰოლის, ტიტრული და აქროლადი მჟავიანობის, ხვედრითი წონის და ექსტრაქტის, ნარჩენი შაქრის, თავისუფალი და საერთო გოგირდოვანი მჟავის და რკინის განსაზღვრა. სადეგუსტაციო ნაწილში მოხდება ღვინის ორგანოლეპტიკური ფერის და გამჭვირვალობის დადგენა.** ყველა ამ კომპონენტის სტანდარტულობა არის ღვინის ხარისხის განმსაზღვრელი, ხარისხი კი, მოგეხსენებათ, ბაზარზე ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია. რაც შეეხება ენოთეკის დარბაზს, ის თანდათან შეივსება ღვინის უნიკალური ნიმუშებით, რაც სამომავლოდ მოგვცემს შესაძლებლობას, ვუმასპინძლოთ ტურისტებს – დავაგემოვნებინოთ და შევთავაზოთ ჩვენი კუთხის ღვინოები. ეს გახლავთ ჩვენი ყოველდღიური და სამომავლო საქმიანობის რეჟიმი, რომლის განხორციელებას ვერ შევძლებდი, რომ არა კეთილი და გულისხმიერი ადამიანების მხარში დგომა და ხელშეწყობა. მართალია, მე მოვიგე გრანტი და მე ვიყავ მის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი, მაგრამ მარტო ძალიან გამიჭირდებოდა, რომ არ ყოფილიყო ინდმეწარმე გიორგი კიკილაშვილის კეთილი ნება, შემხიდებოდა. ბატონი გოგი უაღრესად პროგრესულად მოაზროვნე, განათლებული ადამიანია. მან დაინახა ამ ლაბორატორიის არსებობის აუცილებლობა და ბევრი რამ აიღო თავის თავზე სარემონტო სამუშაოების განხორციელების კუთხით, გვეხმარებოდა გადაწყვეტილების მიღების დროს, გვაწვდიდა იდეებს თანამედროვედ და ესთეტიკურად მოგვეწყო დარბაზები. ის შესანიშნავი ადამიანი და საიმედო მეგობარია, რისთვისაც ულრმეს მადლობას ვუხდი.

**– როგორ ფიქრობთ, გექნებათ სრულყოფილი დატვირთვა, ანუ გეყოლებათ საკმარისი დამკვეთი?**

– უკვე ყოველდღიურად ვაკეთებთ ღვინის 2-3 ანალიზს, რაც აუცილებლად მოიმატებს. სეზონზე კი, რთველის პერიოდში, ეჭვი არ მეპარება, საქმეს ვერ აუვალთ, დღე და ღამ სამუშაო გვექნება, რადგან ამ პერიოდში ჩემს სახლთან სულ რიგები იდგა ხოლმე ყურძნის ანალიზისათვის.

ძვირფასო მკითხველო, თქვენ, ალბათ, გაინტერესებთ ვინ არის ინდმეწარმე მარინე ბაიდოშვილი. მარინე მას დოკუმენტებში ჰქვია, თორემ ცხოვრებაში ყველა მაიად ვიცნობთ. ის დაიბადა 1957 წლის 7 მაისს სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო მაღაროში. აქვე წარჩინებით დაამთავრა მაღაროს სოლომონ დოდაშვილის სახელობის საშუალო სკოლა, ჩაირიცხა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ტექნოლოგიის ფაკულტეტზე მეღვინეობის განხრით, რომელიც წითელი დიპლომით დაამთავრა. მთელი ცხოვრება გამოირჩევა აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობით და ინიციატივით. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო ქალაქ წითელწყაროს ღვინის ქარხანაში ქიმიკოსად, 3 წელში დააწინაურეს და ლაბორატორიის გამგედ გადაიყვანეს. ოთხმოცდაათიან წლებში, როცა ბევრი რამ დაინგრა, ცხოვრება აირ-დაირია, მაიაც სხვადასხვა სამსახურში მუშაობდა, ვიდრე 2004 წელს შპს „მშვიდობა+“-მა (შემდგომში“ზედაშე“) ქიმიკოსად არ მიიწვია. 2011 წლიდან კი ის ამავე ორგანიზაციაში მეღვინე-ტექნოლოგია. 1978 წელს შექმნა ოჯახი ზურაბ გოგილაშვილთან სოფელ ჯაფარიძეში. სამწუხაროდ, მეუღლე 2012 წელს გარდაეცვალა. ჰყავს ქალიშვილი – გვანცა გოგილაშვილი, რომელიც სპეციალობით იურისტი გახლავთ, ცხოვრობს თბილისში, მუშაობს საქართველოს ბანკის ადმინისტრაციაში, დაოჯახებულია, მისი მეუღლეა მისივე თანასოფლელი და თანაკლასელი შოთიკო წიკლაური და ქალიშვილი, პატარა თაია წიკლაური, რომელიც მაია ბებიას დიდი სიხარული და სიყვარულია. მაიას ამ დიდ წამოწყებაში დასაწყისიდანვე მხარში ედგა ქალბატონი მანანა იაკობიშვილი, რომელიც აქ საბუღალტრო საქმიანობას უძღვება. საინტერესოა მანანას ბიოგრაფია. იგი 1967 წელს დაიბადა წითელწყაროში. წარმატებით დაამთავრა ქ.წითელწყაროს №1 საშუალო სკოლა და სწავლობდა მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის არაორგანული ნივთიერებების ტექნოლოგიის ფაკულტეტზე. მის ნიჭიერებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ქართულ სკოლადამთავრებული ახალგაზრდა რუსულ ფაკულტეტზე ფრიადოსანი გახლდათ, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, მან მეორე კურსის წარჩინებით დახურვის შემდეგ, პროტესტის ნიშნად, დახია კომკავშირელის ბილეთი და დატოვა უნივერსიტეტი. მშობლიურ რაიონში დაბრუნებულმა შექმნა ოჯახი ვალიკო ბაგალიშვილთან ერთად, ჰყავს ორი შესანიშნავი ქალიშვილი – ნატო, რომელიც კავკასიის უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტია 50%-იანი გრანტით, ხოლო სალომე – №1 საჯარო სკოლის წარჩინებული მეთერთმეტეკლასელი. ის ხელოვნების სკოლის ერთ-ერთი გამორჩეული მოსწავლეა, აქვს შესანიშნავი ნახატები და ემზადება პერსონალური გამოფენისათვის. რაც შეეხება ქალბატონი მანანას შრომით ბიოგრაფიას, როგორც ის თავის თავს ეძახის, „თვითნასწავლი ბუღალტერია“ და 2004 წლიდან საბუღალტრო საქმიანობას ეწევა სხვადასხვა ორგანიზაციაში.



ასე რომ, ჩვენს რაიონს კიდევ ერთი, მეტად საჭირო, ორგანიზაცია შეემატა, სადაც მევენახეებმა და მეღვინეებმა შეიძლება მიიღონ კონსულტაცია ჭურჭლის რეცხვიდან დაწყებული, დაწურვის, დუღილის, დადუღების, დაღვინების და ღვინის ხარისხის შესახებ გამოცდილ მეღვინესთან ქალბატონ **მაია ბაიდოშვილთან, რომლის ტელეფონის ნომერიც გახლავთ 593 75-69- 30.** აქვე გავმეორდები და გეტყვით, რომ მსგავსი ლაბორატორია არ აქვს არც სიღნაღს და არც ლაგოდეხს, ხოლო მომსახურების ფასები თბილისის ანალოგიურ ლაბორატორიასთან შედარებით საგრძნობლად დაბალია და ხელმისაწვდომია ნებისმიერი ოჯახისთვის. წარმატებებს ვუსურვებთ ქალბატონ მაიას და მანანას.

ნაირა გორაშვილი

# საზოგადოების განწყობა საქართველოში - ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მორიგი კვლევა

ახლახანს, ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა (NDI), საზოგადოებრივი აზრის მორიგი კვლევის შედეგები გამოაქვეყნა, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის შემდეგ ჩატარდა. 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა იყო. საინტერესოა, თავად საქართველოს მოსახლეობამ როგორ შეაფასა წინასაარჩევნო მოვლენები და უშუალოდ არჩევნების დღე, ქვეყნის მიმართულება და ეროვნული და ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები, ევროკავშირის მხარდაჭერა, ნატოს მხარდაჭერა, გარემოს დაცვა, ეკოლოგიური პრობლემები, ნარჩენების მართვა, განათლება და დასაქმება, პოლიცია და კრიმინალი, მედია - ესაა ის საკითხები, რომელზეც კვლევაში ყურადღებაა გამახვილებული და გაზეთი „შირაქი“, რამდენიმე მათგანის შედეგებს გაგაცნობთ.

განსხვავებული მოსაზრებები არსებობს იმასთან დაკავშირებით, თუ საერთო ჯამში როგორი მიმართულებით ვითარდება საქართველო. გამოკითხულთა 29% ფიქრობს, რომ საქართველო სწორი მიმართულებით ვითარდება, 30% - ფიქრობს, რომ საქართველო საერთოდ არ ვითარდება, 38% ფიქრობს, რომ საქართველო არასწორი მიმართულებით ვითარდება, 4%-ს კი კითხვაზე პასუხი არ აქვს. კითხვაზე, თუ რომელი ეროვნული საკითხებია ყველაზე მნიშვნელოვანი, ტოპ ექვსეული 2009 წლიდან არ შეცვლილა და ასე გამოიყურება: სამუშაო ადგილები (51%), სიღარიბე (38%), ფასების ზრდა/ინფლაცია (37%), ტერიტორიული მთლიანობა (27%), პენსიები (25%) და ხელფასები (18%). ევროკავშირის მხარდაჭერა მისაღებია გამოკითხულთა 83%-სთვის, მიუღებელია 9%-სთვის და კითხვაზე პასუხი არ აქვს 7%-ს. ასევე მისაღებია ნატოს მხარდაჭერა გამოკითხულთა 78%-სთვის, მიუღებელი - 13%-სთვის და კითხვაზე პასუხი არ აქვს 9%-ს.

კეთილმოწყობასთან და ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული სამი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხის დასახელებისისას, საქართველოს მოსახლეობის 35%-მა არსებული გზები, 22-22%-მა გარემოს დაბინძურება და კომუნალური გადასახადები დაასახელა. გამოკითხულთა 57% ფიქრობს, რომ გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ჰაერის დაბინძურებაა, 44% საკვების უსაფრთხოებას, 40% კი ჯანმრთელობისთვის საშიში ნივთიერებების არსებობას (ჰაერში, საკვებში, სათამაშოებში და სხვ.) ასახელებს. 91%-ისთვის მისაღებია ინიციატივა, რომლის მიხედვითაც, ყველა ოჯახი დაახარისხებს ნაგავს კატეგორიების მიხედვით. კვლევაში ადგილი ეთმობა განათლებასაც. გამოკითხულთა მხოლოდ 3% ფიქრობს, რომ მთავრობა ძალიან კარგად ართმევს თავს მოქალაქეებისთვის მაღალი ხარისხის განათლების მიწოდებას, 47% ფიქრობს, რომ კარგად ართმევს თავს, 27% პასუხია - ცუდად, 7% ფიქრობს, რომ ძალიან ცუდად, ხოლო 15%-ს კითხვაზე პასუხი არ აქვს. კითხვა შეეხო ასევე სამსახურის შოვნასაც. პირველი სამეულის მიხედვით, გამოკითხულთა 37% სამსახურის შოვნის პროცესში ყველაზე მნიშვნელოვნად ნაცნობობას მიიჩნევს, 23% პროფესიონალიზმს/ სამუშაო გამოცდილებას, 9% კი უცხოეთში მიღებულ განათლებას. ეროვნულ დონეზე კი თავს გამოკითხულთა 62% მიიჩნევს. გამოკითხულთა 43% აზრით, ბოლო 10 წელიწადში საქართველოში კრიმინალის მდგომარეობა გაუარესდა, 32% ფიქრობს, რომ იგივე დარჩა, 18% მიაჩნია, რომ გაუმჯობესდა, 7%-ს კი კითხვაზე პასუხი არ აქვს. მოსახლეობის მიერ დასახელებული ყველაზე ხშირი დანაშაულების სამეული ასე გამოიყურება: ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაული (25%), ქურდობა/ძარცვა/ ყაჩაღობა (21%), ავტოსაგზაო შემთხვევები/ავარიები (20%). პოლიციის საქმიანობას კი დადებითად 60% აფასებს.

რაც შეეხება მედიას, გამოკითხულთა 66% ტელეკომპანია იმედს ადევნებს თვალს, 61% –რუსთავი 2-ს, ხოლო ტვ პირველს 39%. კვლევის მიხედვით, საზოგადოებრივ მაუწყებელს გამოკითხულთა 34% ადევნებს თვალს, მაესტროსა და ობიექტივს – 22-22%, ხოლო კავკასიას, აჭარიის ტელევიზიასა და პალიტრა ტვ-ს 17-17%. კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა 21% იმედს ენდობა, 15% – რუსთავი 2-ს, ხოლო 13% ტვ პირველს. გამოკითხულთა 17% არ ენდობა რუსთავი 2-ს, 14%– იმედს, ხოლო 11% - ობიექტივს. გამოკითხულთა აზრით, ტელევიზიების სამეული, რომელიც დეზინფორმაციის ყველაზე ხშირად ავრცელებს, შემდეგნაირად გამოიყურება: რუსთავი 2 - 25%, შემდეგ მოდის იმედი - 10% და ობიექტივი - 6%.

NDI-იმ საზოგადოებრივი აზრის ახალი კვლევის საველე სამუშაოების თარიღები 2018 წლის 6-20 დეკემბრით თარიღდება. ჩატარდა 2205 დასრულებული ინტერვიუ. საშუალო ცდომილების ზღვარი +/- 2,1 პროცენტია.

**მოამზადა**
ქუქუნა ყანჩაშვილმა

# როდის აშენდება ზემო მაჩხაანში სკოლა?

***გასულ კვირას ხელისუფლებამ იმ 27 სოფლის სია გამოაქვეყნა, სადაც მომდევნო ორ წელში ახალი სკოლა აშენდება, თუმცა პრეზენტაციაზე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო მაჩხაანის სკოლა არსად უხსენებიათ. ამ ინფორმაციამ სოციალურ ქსელში აჟიოტაჟი გამოიწვია, ზემო მაჩხაანელების ნაწილი ფიქრობდა, რომ სკოლის მშენებლობის დაწყება კიდევ გადავადდა და მათი სკოლა სიაში ამ მიზეზით არ იყო. გაზეთი „შირაქი“ ვითარების გარკვევას შეეცადა. დასაწყისშივე უნდა ითქვას, რომ ჩამოთვლილი სკოლების მშენებლობა მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 68 მილიონი ლარით ფინანსდება. ამდენად, ხსენებული ინფორმაცია მხოლოდ მგფ-ის პროექტებს ეხება და არა მთლიანად მშენებარე სკოლებს.***

დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ეთერ ზურიკაშვილი ამბობს, რომ მაჩხაანის სკოლის მშენებლობის საკითხი არ შეფერხებულა და პროცესი ჩვეულ რეჟიმში მიდის. როგორც სასწავლო წლის დასაწყისში „შირაქი“ წერდა, ამჯერად მაჩხაანში ორის ნაცვლად სამსართულიანი სკოლა უნდა აშენდეს. პროექტი შეიცვალა და დაფინანსებაც გაიზარდა.

რამდენიმე თვის წინ გამოცხადდა ტენდერი, 5 440 000 ლარის ოდენობით. გასული წლის მიწურულს გამოვლინდა გამარჯვებული კომპანია ამხანაგობა **„დაგი ქონსთრაქშენი“,** რომელმაც სამუშაოების შესრულების ვალდებულება 4 824 999 ლარად იკისრა. ანუ, ტენდერმა თანხის დაზოგვის შესაძლებლობა გააჩინა. უკვე გაფორმდა ხელშეკრულებაც, ამდენად, სოფელ ზემო მაჩხაანში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სკოლის მშენებლობა უახლოეს მომავალში დაიწყება.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი, **ნიკოლოზ ჯანიაშვილი** ამბობს, რომ ტენდერში გამარჯვებული კომპანია კარგი რეპუტაციით სარგებლობს. ეს კი სამუშაოების დროულად და ხარისხიანად შესასრულებლად უმნიშვნელოვანესი საკითხია, მითუმეტეს იმ ფონზე, როცა კომპანიების უმრავლესობა არაკეთილსინდისიერად ეკიდება აღებულ ვალდებულებებს, საბოლოოდ პროექტების დასრულება ჭიანურდება. მერს იმედი აქვს, რომ ზემო მაჩხაანის სკოლის მშენებლობა დაგეგმილ ვადებში მოესწრება და როგორც დაპირება იყო, ახალ სკოლას 2020 წლის სექტემბრისთვის თუ არა, დეკემბრისთვის მაინც ჩააბარებენ.



შენობის ძველი, 2 სართულიანი პროექტი, რომელიც დაფინანსების გაზრდის შემდეგ შეიცვალა

ნიკოლოზ ჯანიაშვილი ***(დედოფლისწყაროს მერი):*** „წლის დასაწყისში მთავრობამ წარმოადგინა თავისი საკმაოდ ამბიციური გეგმა, საქართველოს რეგიონებში ახალი სკოლების მშენებლობის შესახებ. რადგან ამ სიაში ზემო მაჩხაანი ნახსენები არ იყო, ნებათაღელვა მოჰყვა ამ ფაქტს, ვინაიდან პროექტის დაწყება მანამდე ერთხელ უკვე გადაიდო, ამჯერადაც ფიქრობდნენ, რომ კიდევ გაჭიანურდებოდა. მაგრამ, მინდა დავამშვიდო დედოფლისწყაროელები და განსაკუთრებით ზემო მაჩხაანელები, რომ უკვე გაფორმებულია ხელშეკრულება და პროცესი არ შეფერხებულა. გასული წლის 12 დეკემბერს განათლების სამინისტროსა და სამშენებლო კომპანია „დაგი კონსტრაქშენს“ შორის ხელშეკრულებას ხელი მოეწერა, დოკუმენტზე ხელს აწერს ამხანაგობის მმართველი მიხეილ შარანგია. ასე რომ 2019-2020 წლების განმავლობაში ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სკოლა უნდა აშენდეს. მათ დღეს სამ ლოკაციაზე უწევთ სიარული და განათლების მიღება, რის გამოც დაძაბული სამუშაო რეჟიმი აქვთ. შენობის დასრულების შემდეგ კი საუკეთესო გარემოში სწავლის საშუალება მიეცემათ“.



ახალი, 3 სართულიანი პროექტი

უკვე მეოთხე წელია, ზემო მაჩხაანს ახალი სასწავლო წლის დაწყება სკოლის გარეშე უწევს. სკოლის შენობა 2015 წელს გაჩენილი ხანძრის შედეგად მთლიანად განადგურდა. დამწვარი შენობა აღდგენას აღარ ექვემდებარებოდა, ამიტომ სამინისტრომ ძველის დემონტაჟი და თანამედროვე სტანდარტების ახალი სკოლის მშენებლობა დააანონსა. ეზოში, წელიწადზე მეტია, დგას ბანერი, რომელზეც სკოლის ახალი შენობაა გამოსახული, პროექტის მიხედვით მშენებლობა 2018 წლის იანვრიდან უნდა დაწყებულიყო და 2019 წელს დასრულებულიყო, მაგრამ მაჩხაანელები სოფელში მუშების გამოჩენას ამ დრომდე უშედეგოდ ელიან. პირველად, როცა შენობის მაკეტი გამოქვეყნდა, ითქვა, რომ სკოლის შენობას 3 500 000 ლარი მოხმარდებოდა. იმხანად ითქვა ისიც, რომ სამუშაოები 2018 წელს დაიწყებოდა და შენობა 2019 წლის ბოლოს ჩაბარდებოდა. თუმცა, ამჯერად თანხის ზრდასთან ერთად, ვადებმაც გადაიწია და შენობის დასრულება უკვე 2020 წლისთვის იგეგმება. ჯამური თანხა 2 მილიონი ლარით გაზრდილია. სკოლის შენობის ასაგებად და თანამედროვე სტანდარტებით მოსაწყობად 5 440 000 ლარი გამოყო. ახლადგამოქვეყნებული სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით, სკოლა 300 მოსწავლეზე გათვლილი უნდა იყოს, წინა შემთხვევაში კი 250 მოსწავლეზე იყო. ძველი პროექტი ორსართულიანი შენობის აგებას ითვალისწინებდა, ამჯერად კი სამი სართული და სარდაფია გათვალისწინებული.

ილია მარტყოფლიშვილი

# წითელას 6 შემთხვევა

***კახეთის რეგიონში წითელას ეპიდაფეთქება გრძელდება. სიღნაღსა და დედოფლისწყაროში 11 შემთხვევა დაფიქსირდა. დედოფლისწყაროში 6, სიღნაღში კი – 5. როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის კახეთის ოფისის ხელმძღვანელმა ნელი ხიზანიშვილმა განაცხადა, 1 თებერვლის მონაცემებით კახეთის რეგიონში სულ 85 შემთხვევაა აღრიცხული. კახეთის მუნიციპალიტეტების მერიაში ამოქმედდა საკოორდინაციო შტაბი, მიმდინარეობს ვაქცინაცია. მასშტაბური აცრები ტარდება სკოლებსა და საბავშვო ბაღებში, როგორც მოსწავლეთათვის, ისე პედაგოგებისთვის.***



თავდაპირველად წითელას პირველი სამი შემთხვევა დედოფლისწყაროში საგარეჯოს მაცხოვრებლებში დაფიქსირდა, რომლებიც დედოფლისწყაროს ფერმებში მუშაობენ და სიმპტომების გამოვლენის შემდეგ დედოფლისწყაროს საავადმყოფოს მიაკითხეს, გასულ კვირას კი კიდევ სამი შემთხვევა გამოვლინდა, ამჯერად სამივე ადგილობრივია. ერთი პაციენტი ზემო მაჩხაანში, ორიც ქალაქ დედოფლისწყაროში.

„პაციენტებს ინფექციონისტის კონსულტაცია ესაჭიროებათ და ყველა მათგანი გადავამისამართეთ შესაბამის დაწესებულებებში. წითელას დიაგნოზს ადგილზე ვერ დავსვამთ, სიმპტომების მიხედვით ეს არის საეჭვო შემთხვევები, ამას თბილისში შესაბამისი კვლევების შემდეგ დაადასტურებენ,“ – აღნიშნავს დედოფლისწყაროს ჯანდაცვის ცენტრის ეპიდემიოლოგი ***ლალი ალადაშვილი.***

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას ამბობს, რომ საბავშვო ბაღების აღსაზრდელთა 100%, ხოლო სკოლის მოსწავლეთა 99% უკვე აცრილია, ახლა პერსონალის აცრები მიმდინარეობს.

„წითელას მასიურ გავრცელებასთან დაკავშირებით დედოფლისწყაროს მერიაში საკოორდინაციო შტაბი შეიქმნა, რომელსაც მერის მოადგილე კურირებს. აქ გაერთიანებულნი არიან პირველადი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელობა, საგანმანათლებლო დაწესებულებების და სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ხელმძღვანელი, კოორდინირებულად ვმუშაობთ იმისათვის, რომ მუნიციპალიტეტში მასობრივი აცრები განხორციელდეს. საკოორდინაციო შტაბი აქტიურად მუშაობს, ყოველდღიური მონიტორინგი მიმდინარეობს და ვითარებას ვაკონტროლებთ. მომავალ კვირას დასრულებული იქნება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მასშტაბით აბსოლუტურად ყველა სკოლისა და საბავშვო ბაღის როგორც პერსონალის და პედაგოგების, ისე ბავშვების ვაქცინაცია. გარდა ამისა, სოფლებში აქტიური საინფორმაციო კამპანია მიმდინარეობს, რომ მოქალაქეები გამოცხადდნენ და უფასო აცრა ჩაიტარონ. ყველა სოფლის ექიმი მობილიზებულია და მომარაგებულია ვაქცინით. ისევე როგორც ქვეყანაში, რამდენიმე ფაქტი ჩვენთანაც დაფიქსირდა, საავადმყოფოს მიაკითხეს პაციენტებმა და შესაბამისი რეაგირება მოჰყვა. დღეის მდგომარეობით დედოფლისწყაროს საბავშვო ბაღებში 900-ზე მეტი აღსაზრდელი ირიცხება, თამამად შემიძლია გითხრათ, რომ აბსოლუტურად ყველა ბავშვს უკვე ჩატარებული აქვს აცრა, მხოლოდ ორი აღსაზრდელია გამონაკლისი და ესეც იმიტომ, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მათთვის არ შეიძლებოდა აცრის გაკეთება. ასევე სკოლის მოსწავლეების შემთხვევაშიც, მათი 99% უკვე აცრილია, ახლა პერსონალის აცრები მიმდინარეობს. მათი აცრები ორგანიზებულად ხდება, რომ თავიდან ავირიდოთ რიგები და დროის მოკლე მონაკვეთში დასრულდეს პროცესი. ყველას მოვუწოდებ, რომ მივიდნენ და ჩაიტარონ აცრა. არ აქვს მნიშვნელობა, გასულ წლებში აქვთ თუ არა ვაქცინაცია გაკეთებული, სასურველია, კიდევ ერთხელ ჩაიტარონ,“ – აღნიშნავს დედოფლისწყაროს მერი.

მთელი ქვეყნის მასშტაბით, კახეთის რეგიონში ერთერთი ყველაზე მძიმე ვითარებაა. მთავრობის გადაწყვეტილებით, წითელას აცრა უფასო გახდა.

ილია მარტყოფლიშვილი

# სკოლების რეაბილიტაცია

***საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის №13 განკარგულებით, საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტისთვის 180 000 ლარი გამოიყო, ხოლო მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფისთვის - 51 400 ლარი. აღნიშნული თანხები დედოფლისწყაროს საკრებულოს 31 იანვრის სხდომაზე 2019 წლის მუნიციპალურ ბიუჯეტში აისახა. ცვლილებების შედეგად მიმდინარე წლის ბიუჯეტის გადასახადების ნაწილი 550 800 ლარით გაიზარდა.***

როგორც დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ეთერ ზურიკაშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, ამ დროისთვის უცნობია, კონკრეტულად რომელი სკოლების მცირე სამუშაოებს მოხმარდება ეს თანხა. მისი თქმით, პრიორიტეტი იმ სკოლებს მიენიჭება, რომელთა შენობებშიც ყველაზე რთული ვითარებაა. სკოლების შეფასებასა და პრიორიტეტების ადგილზე გაცნობას სპეციალური კომისია მოახდენს, რომელმაც მუშაობა უკვე დაიწყო და რამდენიმე დღეში სოფლებს შემოივლის.

„კომისია სხვადასხვა სფეროს ადამიანებით დაკომპლექტდა, მასში მუნიციპალიტეტის მერიც შედის. მომავალი კვირიდან დავიწყებთ შემოვლას, გავეცნობით სკოლის შენობების პრობლემებს. ამ თანხით დიდი სამუშაოების შესრულებას ვერ გავწვდებით, მაგრამ გადაუდებელი და წვრილმანი ხარვეზების აღმოფხვრა ნამდვილად მოხერხდება. ჭერის შეკეთება, კარ-ფანჯრების გამაგრება, თუ ასე შემდეგ, რა პრობლემებიც გამოიკვეთება, ვეცდებით საჭიროების მიხედვით განვკარგოთ საამისოდ გათვალისწინებული თანხა,“ – აღნიშნავს ეთერ ზურიკაშვილი.

საგანმანათლებლო რესურსცენტრის განმარტებით, გასულ წლებში ტრანსპორტი დედოფლისწყაროს 6 საჯარო სკოლას ემსახურებოდა, ახალი სასწავლო წლიდან კი მათი რიცხვი რვამდე გაიზარდა. გამარჯვებისა და ზემო ქედის სკოლებისთვის ტრანსპორტის გამოყოფის აუცილებლობა მას შემდეგ დადგა, რაც გამარჯვებისა და ზემო ქედის მეორე საჯარო სკოლებში „ირმის ნახტომის“ პროგრამის ფარგლებში ძირეული რეაბილიტაცია დაიწყო, მოსწავლეები კი სხვა სკოლებში გადაანაწილეს.

„გამარჯვების სკოლა გადანაწილებულია ხორნაბუჯის სკოლის შენობაში, ყოველდღიურად ამხელა მანძილის გავლა უხდებათ. ზემო ქედის მოსწავლეებიც ასეთ რეჟიმში არიან, ამიტომ ბოლო ხანს ორი მიკროავტობუსის დამატება გახდა საჭირო. ამ შემთხვევაში ტრანსპორტის გარეშე მოსწავლეების გადაადგილება წარმოუდგენელი იქნება. უკვე რამდენიმე თვეა ამ სკოლებსაც სასკოლო მიკროავტობუსი ემსახურება. ამჯერად, გამოყოფილი თანხა გადანაწილდება ყველა სკოლაზე. გარდა ამისა, სასკოლო ავტობუსი მიმაგრებულია დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლაზე, რომლებმაც პირველად გახადეს ბოშებისთვის განათლება ხელმისაწვდომი. ისინი ყოველდღიურად სოფელ ჭოეთიდან ახდენენ ბოშა მოსწავლეების ტრანსპორტირებას სკოლაში და გარდა სასკოლო პროგრამით გათვალისწინებული გეგმისა, სკოლა ბოშა ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის არაერთ პროექტს ახორციელებს. ტრანსპორტით მომსახურება ასევე გვაქვს ზემო მაჩხაანის, ხორნაბუჯის, სამრეკლოს, არხილოსკალოსა და ქვემო ქედის სკოლებშიც,“ – აცხადებს ზურიკაშვილი.

ამას გარდა, სამთაწყაროსა და ხორნაბუჯის სკოლების რეაბილიტაციისთვის 142 500 ლარია გამოყოფილი, წინა შემთხვევისგან განსხვავებით, ეს თანხა მხოლოდ ამ ორ სკოლას მოხმარდება

ილია მარტყოფლიშვილი

# ტრაგედიების ქრონიკა

***რას ფიქრობს ადამიანი მომავალზე? - ძალიან ბევრ რამეს. ჩვენ ვგეგმავთ მთლიან დღეს, მაგრამ ცხოვრება მოულოდნელობებითაა აღსავსე და ამიტომ ბევრი რამ ადამიანს არ სცალდება. რა ხდება იმ დროს, როდესაც ზუსტად იქ აღმოჩნდებით საფრთხეში, სადაც მანამდე თავს უსაფრთხოდ გრძნობდით? სამსახურიდან სახლში მისულს, დაღლილს, გგონია, რომ ტელევიზორთან წამოწვები, ცოტას დაისვენებ, განიხილავ განვლილ დღეს ოჯახის წევრებთან. ვიღაცის დაუდევრობის გამო კი, ის საღამო კოშმარად გექცევა.***

რა მოხდა 16 იანვარს დიდ დიღომში? საღამოს, ავთანდილის ქუჩაზე, საცხოვრებელი კორპუსის მეექვსე სართული გაზის გაჟონვის შედეგად აფეთქდა. შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა ოთხი ადამიანი, მათ შორის 4 წლის ბავშვი. სხვადასხვა სახის დაზიანებები მიიღო 8 ადამიანმა. ადგილობრივების ცნობით საცხოვრებელ კორპუსში გაზის სუნის გამო ყაზტრანსგაზის თანამშრომლები გამოიძახეს. მისვლის შემდეგ მათ თქვეს, რომ საშიში არაფერი იყო. კომპანიის მტკიცებით გამოძახებულმა ჯგუფმა მოქალაქეების თანდასწრებით შეამოწმა შეტყობინებაში მითითებული ადგილები: ლიფტის შახტი და კორპუსის მიმდებარედ არსებული ქჭები. ჯგუფის მტკიცებით აღნიშნული ადგილები შემოწმდა ბუნებრივი აირის კონცენტრაციის დამდგენი სპეციალური აპარატით GASURVEYOR3-500-ით. დეტექტორმა გაზის გაჟონვა არ დააფიქსირა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 240[1]-ე მუხლის მესამე ნაწილით დაიწყო. ამ მუხლით გაზის განლაგების, დაპროექტების ან ექსპლუატაციის დროს უსაფრთხოების წესების დარღვევა, რამაც ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან ათ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე. თუმცა ფაქტი რჩება ფაქტად. მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო. რასთან გვაქვს საქმე? სამსახურეობრივი მოვალეობის არშესრულებასთან თუ საჭირო ცონდის არქონასთან? ამ კითხვებზე პასუხს გამოძიების დამთავრების შემდეგ გავიგებთ.

31 იანვარს თბილისში, ისანში, ქეთევან წამებულის გამზირზე გაზით შვიდი ადამიანი გარდაიცვალა. როგორც ყაზტრანსგაზ -თბილისმა განაცხადა, სახლში $CO$ (გაზის ნამწვი) დაგროვდა და გარდაცვალების მი-



ზეზი ეს გახდა. ადგილზე მივიდა გაზგამანაწილებელი კომპანიის წარმომადგენელი. მისი თქმით, წყლის გამათბობელი კომპანიის თანამშრომლებმა 2018 წლის მარტში ჩახსნეს, თუმცა ის თვითნებურად დააერთეს.

თბილისში, ვარკეთილში, სავარაუდოდ, ბუნებრივი აირის გაჟონვის გამო ორი ადამიანი გარდაიცვალა. ამის შესახებ ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურმა გაავრცელა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 240[1]-ე მუხლის მეორე ნაწილით დაიწყო. ამ მუხლით გაზის განლაგების, დაპროექტების ან ექსპლუატაციის დროს უსაფრთხოების წესების დარღვევა, რამაც ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

ეს არის იმ ტრაგედიების მცირე ჩამონათვალი, რაც ჩვენს გარშემო ერთი კვირის მანძილზე მოხდა, რისი ნაწილიც ყოველდღიურად თვითოეული ჩვენგანი ხდება.

ვისი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს ამ შემთხვევებში? უმოკლეს დროში უდიდესი ტრაგედიები დაატყდა ჩვენს ქვეყანას თავს. ეს შემთხვევებიც შეიძლებოდა აგვერიდებინა თავიდან. რეალობის წინაშე დადგომის შემდეგ, როდესაც აღარ ეშველება საქმეს, ცოტა გვიანი ხომ არ არის დამნაშავის ძიება?

გაზის მოხმარებისას უსაფრთხოების წესების დაუცველობა დიდ საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ მომხმარებლის, ასევე მისი მეზობლების და გარშემომყოფების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.

**იმ შემთვევაში, თუ სახლში გაზის სუნს იგრძნობთ, ნუ უგულებელყოფთ ამ ფაქტს, გააღეთ ფანჯარა და გამოიძახეთ საავარიო ჯგუფი. სახლში შესულს გაზის სუნი თუ გეცათ, არ აანთოთ შუქი, ასევე არ გამოიყენოთ არანაირი ელექტრო ხელსაწყო.** სამწუხაროდ საქართველოში არ არსებობს სახელმწიფო უწყება, რომელსაც გაზის შიდა ქსელების შემოწმების უფლება და ვალდებულება აქვს. **გაზის დეტექტორის შეძენა ნუ დაგეზარებათ. იზრუნეთ თქვენსა და თქვენი გარშემომყოფების ჯანმრთელობაზე. არასოდეს არ დააყენოთ გაზის ხელსაწყო თვითნებურად დააყენებინეთ ხელოსანს და შესამოწმებლად გამოიძახეთ გაზგამანაწილებელი კომპანიის სპეციალური ჯგუფი.**

გვსურს, რამდენიმე რჩევა მოგცეთ, რომელიც გაზის მოხმარების დროს უნდა გაითვალისწინოთ.

**რეკომენდაციები:**

**1. დეტექტორის შეძენა (ფასი 20-დან 50 ლარამდე) და სამზარეულოში დამონტაჟება;**

**2. არ იყოს სახლში ყველა ფანჯარა ბოლომდე დახურული;**

**3.სახლის განიავება;**

**4. ყველა საეჭვო შემთხვევაში, როცა შესაძლებელია სადარბაზოში ან სახლში აირი ჟონავდეს, გაზგამანაწილებელი კომპანიის საავარიო სამსახურისთვის მიმართვა. თუ არ მოვლენ შეთანხმებულ დროს, დარეკეთ ხელახლა, იმდენჯერ, სანამ რეაგირება არ მოხდება;**

**5. საავარიო სამსახურის თანამშრომლებს შეამოწმებინეთ ყველა საეჭვო ადგილი. სუნის არსებობის შემთხვევაში გამოიძახეთ ხელახლა;**

**6. გაზზე მომუშავე დანადგარების დაყენებისას გამოიძახეთ პროფესიონალი ხელოსნები;**

**7. გამოცვალეთ გაზის ხელსაწყოების შიდაწვის კამერები, თუ ამის რეკომენდაცია არსებობს.**

**ნუ გამოვავლენთ გულგრილობას, გავუფრთხილდეთ ერთმანეთის სიცოცხლეს!**

**ᲛᲐᲡᲐᲚᲐ ᲛᲝᲐᲛᲖᲐᲓᲐ**
ᲘᲜᲔᲡᲐ ᲐᲛᲑᲐᲠᲘᲐᲜᲛᲐ

# თავდაცვის მექანიზმები, მარტივი ცხოვრებისეული მაგალითებით

***თითქმის ყველა ზრდასრულს აქვს უპირატესი, სასურველი შეხედულება საკუთარ თავზე, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ობიექტური ფაქტები სხვა რამეზე მეტყველებს.***

***ადამიანის ფუნქციონირების პერიოდული პრობლემაა ის, თუ როგორ შეინარჩუნოს სასაურველი შეხედულებები თავის თავზე. ცხადია, თვითმოტყუების პატერნები შეიძლება დაგვეხმაროს „გაბერილი“ თვითაღქმის შექმნაში, რაზეც ტეილორის 1989 წლის კვლევაც მოწმობს, მაგრამ შინაგანი და გარეგანი პროცესები ხშირად თვითაღქმას კრიზისულ მდგომარეობას უქმნიან, რა შემთხვევაშიც აუცილებელი ხდება, რომ „მე“-მ ანუ სელფმა თავი დაიცვას საფრთხისაგან რაიმე მექანიზმით. სწორედ ეს პროცესებია ცნობილი, როგორც თავდაცვის მექანიზმები.***

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თავდაცვის მექანიზმები „ეგოს“ ერთგვარი ბერკეტი, გზაა, რომელის საშუალებითაც არაცნობიერად მახინჯდება, დეფორმირდება პიროვნების რეალობა, იმისათვის, რომ იგი დაცული იყოს ფსიქოლოგიური ტრავმის, ტკივილის, შიშის, შფოთვისა და მიუღებელი ლტოლვებისგან.

თუმცა, ზიგმუნდ ფროიდის ქალიშვილი, ანა ფროიდი, რომელმაც თავდაცვის მექანიზმებს ერთი დიდი წიგნი მიუძღვნა, წერს, რომ მოკლევადიანი შფოთვისაგან თავდაცვა, შესაძლოა, საფრთხეს უქმნიდეს გრძელვადიანი რეალობის აღქმის პერსპექტივას, რაც ადამიანების მომწიფებაზე ნეგატიურად აისახება.

ჩვენ ვიცით, რომ ზიგმუნდ ფროიდი ხაზს უსვამდა აგრესიულ და სექსუალურ ლტოლვებს, რომელიც ხელყოფს, საფრთხეს უქმნის „ეგოს“ ინტერნალიზირებულ სტანდარტებს, თუმცა, თანამედროვე სოციალური და პიროვნების ფსიქოლოგიურ კვლევებს ოტო ფინიკელის მიერ შემოთავაზებული იდეა უფრო შეესაბამება, რომელიც გულისხმობს, რომ თავდაცვის მექანიზმები თვითშეფასების დასაცავადაა მოწყობილი. ეს ყოველივე კი ერთი მარტივი მიზეზის გამო. სამეცნიერეო ჟურნალებში ბევრად მეტი სამხილი მოიძებნება ადამიანის ძალისხმევისა, რომელიც თვითშეფასების დაცვას ცდილობს, ვიდრე ფროიდიანული ხედვისა მოცემულ თემაზე. განვიხილოთ ძირითადი და ყველაზე ცნობილი თავდაცვის მექანიზმები:

**ჩანაცვლება** — მიუღებელი იმპულსის და სახიფათო ობიექტის შედარებით უფრო მისაღებ და ნაკლებად სახიფათო ობიექტით შეცვლა. მაგლაითად:

სამსახურში უფროსის შენიშვნით გაბრაზებული საბა უფროსს ვერაფერს უბედავს და სახლში მისული, ცოლზე იყრის ჯავრს, თავის მხრივ ცოლმა კი შესაძლოა შვილებზე იყაროს ჯავრი, რადგან ქმარს წინააღმდეგობა ვერ გაუწია. კიდევ ერთი მაგალითი: იქნებოდა სიტუაცია, როდესაც მასწავლებლისგან გაბრაზებულმა მოსწავლემ სახლში მისვლისთანავე მთელი ძალღონით ურტყა ბალიშს ხელები ან მინის ბოთლი მიამსხვრია კედელზე. რაც იმას ნიშნავს, რომ მათ ჩაანაცვლეს მეტად საშიში შედეგის მომტანი ობიექტები, ამ შემთხვევაში უფროსი და მასწავლებელი, ნაკლებად საშიში შედეგების მომტანი ობიექტებით, ცოლითა და ბალიშით.

**რეაქციის ფორმაცია** — როდესაც სოციალურად მიუღებელ იმპულსებს გარდაქმნით მის საპირისპირო, მისაღებ იმპულსებად. მაგალითად: ამ დაცვის მექანიზმის კლასიკური მაგალითი იქნებოდა პატარა საბა, რომელსაც მოსწონს ანასტასია, მაგრამ იმის ნაცვლად რომ გაუმხილოს თავისი რეალური გრძნობები, ნიშნის მოგებით ელაპარაკება, თმებს წიწკნის, ნერვებს უშლის.



მროკოფმა 1985 წელს შემოგვთავაზა კვლევა, სადაც ზომავდნენ ქალების რეაქციას ეროტიულ სტიმულებზე. აღმოჩნდა, რომ ქალების იმ ნაწილს, რომლებისთვისაც ეროტიკა ძალზე მიუღებელი იყო, რეალურად უფრო მაღალი დონის სექსუალური აღგზნება დაფიქსირდა, ვიდრე დანარჩენი ექსპერიმენტის მონაწილეებში.

**პროექცია** — როდესაც ადამიანი საკუთარ ნეგატიურ, მიუღებელ ფიქრებს, ლტოლვებსა და გრძნობებს მიაწერს სხვა ადამიანებს. მაგალითად: საბამ შესაძლოა განივითაროს ისეთი შთაბეჭდილება, რომ ანასტასიას ძვირადღირებულ საჩუქარს თუ არ აჩუქებს ახალწელს, მაშინ ის უკმაყოფილო დარჩება, თუმცა, რეალურად შესაძლოა ანასტასიას სულაც არ აინტერესებდეს საბამ რამდენი გადაიხადა საჩუქარში და იმითაც გახარებული იყოს, რომ საჩუქარი საბასგანაა. ასე რომ, საბა ანასტასიაში საკუთარი უსიამოვნო ფიქრების პროექციას ახდენს. პროექციის მაგალითად შეიძლება გამოდგეს სიტუაცია, როდესაც მეზობლის „პატიოსანი“ ქალები გამუდმებით აკრიტიკებენ, კიცხავენ, განსჯიან იმავე სამეზობლოს სხვა ქალებს.

**რაციონალიზაცია** — ესაა ჭკვიანური ახსნა, თავის გამართლება ჩვენივე ქმედებებზე ან უარყოფით მოვლენებზე, მაგრამ მიზეზები არის ფრთხილად შერჩეული ისე, რომ გვაგრძნობინოს თავი ისე, როგორც გვინდა რომ ვგრძნობდეთ თავს. მაგალითად: საბა სამსახურში ველოსიპედით მიდის იმის გამო, რომ მანქანის დაზღვევის გადახდა აღარ შეუძლია და მისი გაყიდვა მოუხდა, თუმცა, თანამშრომლებს ეუბნება, რომ ჯანმრთელობისათვის კარგია მსგავსი აქტივობა და გარემოსთვისაც, უფრო მეტიც საბა კოლეგებს მოუწოდებს, რომ მიბაძონ მას. რაციონალიზაციის ერთ-ერთი მაგალითი შეიძლება იყოს სტუდენტი, რომელიც თავის დაბალ ქულას ლექტორს აბრალებს, თუმცა, შესაძლოა, ცოტა მეტი რომ ემეცადინა, უკეთესი ქულები მიეღო.

**რეპრესია** — მიუღებელი, მტკივნეული და სახიფათო აზრების განდევნა ცნობიერიდან, მათი არაცნობიერში შეკავება. მაგალითად: მოზრდილ ადამიანს შესაძლოა აღარ ახსოვდეს, თუ როგორ დაამცირეს უფროსკლასელებმა ბავშვობაში, ან თუნდაც ის, რომ საშნელ კატასტროფაში მოჰყვა, რომელშიც მარტო თვითონ გადარჩა. აღსანიშნავია, რომ განდევილმა აზრებმა და იმპულსება შესაძლოა იჩნოს თავი სიმპტომების — ე.წ ნაცდენების სახით. მეტი თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანოთ მაგალით. მასპინძელი, რომელიც იძულებული იყო სტუმარი სახლში შეპატიჟებინა, თქვა: „ კეთილი იყოს თქვენი მიბრძანება“ ნაცვლად „ კეთილი იყოს თქვენი მობრძანებისა“. მიზეზი არაცნობიერია. მასპინძელს უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა სტუმრისადმი.

**რეალობის უარყოფა** — როდესაც ტრავმის გამომწვევი მოვლენა გაცნობიერებულია, თუმცა ისეა ინტერპრეტირებული, რომ ტრამვატული ასპექტი უარყოფილია. მაგალითად: დედას, რომლის შვილის ცხედარიც ვერ იპოვეს ან ვერ ამოიცნეს ავიაკატასტროფის დროს, უარყოფს მის გარდაცვალებას და იმედი აქვს, რომ ერთხელაც ის უკან სახლში დაუბრუნდება. კიდევ ერთი მაგლაითია, როდესაც კაცს, რომელსაც ცოლი დაშორდა, ჰგონია, რომ ეს დროებითია და დარწმუნებულია, რომ ცოლი მას დაუბრუნდება.

**იდენტიპიკაცია** — ესაა თვითღირებულების გრძნობის გაძლიერება სხვა ცნობილ, ინდივიდისთვის მნიშვნელოვან ადამიანთან ან საზოგადოებასთან თავის გაიგივებით. მაგალითად: საბას უნდა ფეხბურთელობა და საკუთარი თავის იდენტიპიკაციას ახდენს კრისტიანო რონალდოსთან. იგი ბაძავს კრისტიანო რონალდოს ჩაცმულობის, თმის, თამაშის სტილს, რისი საშუალებითაც საბა ცდილობს თვითღირებულების, საკუთარი მნიშვნელობის გაზრდას.

**რეგრესია** — განვითარების ადრეულ დონეზე დაბრუნება, რაც გულისხმობს ბავშვურ პასუხებსა და ქცევას. მაგალითად: უნივერსიტეტის სტუდენტს საწოლში სათამაშო რბილი დათუნია მიაქვს თან და იძინებს მასთან ერთად. ასე შესაძლოა მაგალითად ჩაითვალოს ცოლ-ქმარს შორის კამათის შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთი მათგანი ცდილობს, რაციონალური გზით პრობლემის გადაჭრას, ხოლო მეორე ბავშვივით იმეორებს „ ეს უნდა გავაკეთოთ, რადგან მე ასე მინდა“. რეგრესიას, ძირითადად, ადგილი აქვს, როდესაც ადამიანი შეშინებულია ან სტრესულ სიტუაციაში იმყოფება.

**სუბლიმაცია** — აგრესიული და სექსუალური ლტოლვების სოციალურად სასურველ და ღირებულ ქმედებებად გარდაქმნა. მაგალითად: ადამიანი, რომელსაც დიდი აგრესიული ენერგია აქვს და უნდა, რომ ადამიანები გაჭრას შუაზე, საბოლოო ჯამში, შესაძლოა ქირურგი გამოვიდეს. კიდევ ერთი მაგალითი იქნებოდა ბებია, რომელიც შვილიშვილმა გააბრაზა, თავის უარყოფით ენერგიას სხვა არხში გადართავს და იწყებს წინდების ქსოვას. ზიგმუნდ ფროიდის აზრით, კაცობრიობის კულტურა სუბლიმაციის შედეგია, იგი არის კრეატიულობისა და საზოგადოებრივი პროგრესის საფუძველი.

აუცილებლად უნდა აღინიშოს, რომ თავდაცვის მექანიზმები არაცნობიერად ფუნქციონირებენ და მათი გამოყენება ცნობიერის ჩაურევლად ხდება. ხოლო მომენტი, როდესაც ადამიანი გააცნობიერებს, რომ ესა თუ ის მოვლენა თავდაცვის მექანიზმითაა განპირობებული, თავდაცვის მექანიზმის ფუნქციონირება წყდება მოცემული მიმართულებით.

ᲔᲠᲔᲙᲚᲔ ᲩᲔᲠᲥᲔᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘ




გაზეთ „შირაქის" რედაქცია დედოფლისწყაროს მრავალწლიან ისტორიას ინახავს. უნიკალური ამბები სხვაგან არსადაა ასე დაცული, ამიტომ გადავწყვიტეთ, ჩვენს არქივში შემონახული გაზეთის ძველი, გაყვითლებული ფურცლებიდან საინტერესო ამონარიდები კვლავაც შემოგთავაზოთ.

## 1959 WELI

● WITELWYAROSI PIRVELAD QVEVREBIS WARMOEBA ARXILOSKALOELEBMA DAIWYES. VENAXEBIS FARTOBIS ZRDASTAN ERTAD QVEVREBIS SXV RAIONEBIDAN SEMOZIDVAZE DIDI TANXEBI IXARJEBODA. AMITOMAC, DAISVA SAKITXI, QVEVREBI AD GILOBRIVI RESURSIT DAMZADEBULIYO. SAQMIS OSTATMA ARXILOSKALOELMA SAQRO MELITAURMA ITAVA DA SAAMQROS GAXSNAS AGURIS QARXANASTAN DA OR AXALGAZRDASTAN ERTAN XELI MOHKIDA DA AQVE AMZADEBEN DA SEMDGOM WVAVEN QVEVREBS.

● SOFEL OZAANSI ASENDA AFTIAQI DA ORSAWOLIANI SAMSOBIARO. ARBOSIKSI KI SAKOLMEURNEO ABANO GAIXSNA, ROMELIC UFASOD EMSAXUREBA MSROMELEBS.

● LETNIKIS TYESI PIONERULI BANAKI GAIXSNA, AFRIALDA ALAMI. 70-80 BAVSVTA OR NAKADS MWVANE GAREMOSI MOUWEVS ZAFXULIS CXELI DREEBIS GATAREBA.

● EQSPLOATACIASI SEVIDA WITELWYAROS SAKOLMEURNEO BAZRIS AXALI KAPITALURI SENOBA. SENDEBA XORCIS WERTIS SENOBA. MOASFALTDA BAZRIS MOEDANI, SUL 2000 KVADRATULI METRI.

● AGVISTOSI EQSPLUATACIASI GAESVA WITELWYAROS AVTOSADGURIS SENOBA.

● WLEULS 460 MOSWAVLEA ARBOSIKSI, AQEDAN 20 FRIADOSANI.

## 1974 WELI

● NAVTOBMOPOVEBA GADAWARBEBIT SRULDEBA WITELWYAROSI. TARIBANIS, SUFSISA DA SAMGORIS SAZIEBO UBNEBZE MIREBUL IQNA NAVTOBIS MARALDEBETIANI SADREVNEBI. AMITOMAC WLIURI GEGMA 10 000 TONIS GADAWARBEBIT SRULDEBA. BURRVIS DARGSI DANERGILI DA GAUMJOBESEBULIA AXALI TEQNOLOGIEBI.

● SETYVASTAN BRZOLIS SAMSAXURIS RAIONUL FILIALSI MOUGVAREBELIA PARTIULI, PROFKAVSIRULI DA KOMKAVSIRULI ORGANIZACIEBIS SAQMIANOBA. FILIALSI 5 KOMUNISTI MUSAOBS, MAGRAM ADGILZE AR ARIS SEQMNILI PARTIULI ORGANIZACIA. ISINI FORMALURAD ITVLEBIAN SXVADASXVA ORGANIZACIEBSI, RADGANAC KREBEBS DA SXVA RONISZIEBEBS VER ESWREBIAN. YOVELIVE ES ASUSTEBS KOMUNISTTA AVANGARDUL ROLS DA MIS PARTIUL XELMZRVANELOBAS. SATANADO SIMARLEZE AR DGAS PROFKAVSIRULI ORGANIZACIA. MATI MOVALEOBA FAQTIURAD SAWEVRO ANARICXEBIS SEGROVEBIT AMOIWUREBA. KREBA MATTVIS ISVIATI XILIA. REDAQCIA DAINTERESDA DA KITXVA DASVA, RODIS CATARDA BOLO KREBA DA RA SAKITXEBI GANIXILES, MAGRAM VERCERTMA MUSAKMA PASUXI VER GAGVCA. AMAZE ARAVITARI ARRICXVA AR ARSEBOBS. MTLIANAD WASLILIA FIZKULTURULI MUSAOBA. AXLA IS VIKITXET, AMXANAGURI SASAMARTLOS TAVMJDOMARE VIN ARISO, MAGRAM YVELAM MXREBI AICECA, ASETI RAM PIRVELAD GVESMISO. ZEMOQEDELEBIS JGUFIS WARMOMADGENELMA TEMUR RAMAZANASVILMA SEMOGVCIVLA, ZALIAN CUDI SAYOFACXOVREBO DA KULTURULI PIROBEBI GVAQVSO. JURNAL-GAZETEBI ISVIATAD MODIS, WELI ROM GANAXEVRDEBA PRESAS MEREE GAMOWEREN DA ISIC AR VICIT, MIVIREBT TU ARAO. AQ ARCERTI LEQTORI AR MOSULA RAIME SAKITXZE AGITACIISA DA LEQCIIS CASATAREBLADO. MISASALMEBELIA, ROM ASENDA KAPITALURI SASADILO, ARIWURVA TANAMEDROVE MEQANIZMEBIT, MAGRAM RAIKOOPERATIVIS MIER VER MARAGDEBA PRODUQTEBIT. REGULARULAD AR MZADDEBA CXELI KERZEBI, UFRO METIC, XSIRAD SASADILO GAMOKETILIA DA MSIER MUSEBS KAREBZE GULSAKLAVAD VEEBA BOQLOMI XVDEBA. GARAJSI 6 MANQANA ITVLEBA, MAGRAM MXOLOD 2 MUSAOBS, DANARCENZE TYUILAD IXARJEBA AMORTIZACIIS TANXA DA SOFREBIS XELFASI. SENOBA-NAGEBOBANI ISE UXARISXODAA AGEBULI, EQSPLOATACIIS PIRVELIVE DREEBSI WERIDAN WVIMA CAMODIS DA INVENTARI FUWDEBA. FILIALSI BEVRI MOWINAVE MUSAA, MAGRAM MATTVIS FOTOSTENDIS MOWYOBA DID GADAUWREL PROBLEMAD QCEULA. ARAVITAR TVALSACINOEBAS DA SAAGITACIO MUSAOBAS NISANWYALI AR UCANS.




სეტყვის საწინააღმდეგო სამსახურის წითელწყაროს ფილიალის საკომანდო პუნქტი




მუშათა საერთო საცხოვრებელი შირაქში

(STILI DACULIA)

მოამზადა
ილია მარტყოფლიშვილმა

## კ რ ო ს ვ ო რ დ ი



შვეულად: 1. ამ მეცნიერის დისერტაცია მხოლოდ ერთ გვერდს მოიცავდა და ზედ ერთვოდა მისი ცოლის ხელის მტევნის ჩონჩხის სურათი 2. ძაფი. იღებენ ჭიის პარკისგან 3. ფრანგი მეცნიერი, რომელმაც შეიმუშავა პროდუქტების თერმულად დამუშავების მეთოდი 4. სურნელოვანი ხსნარი: კელნის წყალი 5. ამერიკელი დეტექტივი ალან ... 6. ყველაზე სწრაფად მზარდი ხე, რომელიც ბოტანიკურად ბალახს წარმოადგენს 7. მდინარე, რომელიც ციმბირის ცენტრად ითვლება 10. მტაცებელი ფრინველის ნარნარი ფრენა 16. ფიროსმანაშვილის, როგორც თვითნასწავლი მხატვრის ხელოვნება 17. ჩანთოსანი ცხოველი. მისი ახალშობილი 2 გრამს იწონის 18. საფრანგეთის მეფეთა საზაფხულო სასახლე 20. ალუმინის ძალიან თხელი ფირფიტა 21. იაპონური თეატრი. შეიქმნა XVII საუკუნეში 23. პალეოგენის შუა ეპოქა 25. ანდალუსიური სწრაფი ცეკვა 28. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი, სადაც დევს წმინდა ქვა ქააბა 33. ანდაზა: ... იყო ძმარიო და გაერია წყალიო

თარაზულად: 5. პირველი ქალაქი, რომელიც დაიბომბა ფაშისტური გერმანიის მიერ, იყო ბასკური ქალაქი გერნიკა. ვინ დახატა ამ მოვლენის ამსახველი ტილო, რის გამოც იდევნებოდა ფაშისტებისგან (სახელი) 8. ჰოლანდიელი მხატვარი, რომელიც მუქი ტონების განსაკუთრებული სიღრმის მისაღწევად საღებავებში პუდრად ქცეულ მინას ურევდა 9. დამაავადებელი ბურთისებრი ბაქტერიები, რომლებიც ჯაჭვისებურ გაერთიანებებს ქმნიან 11. ღმერთ ვულკანის სამუშაო ატრიბუტი 12. კუზიანი ხარი. გავრცელებულია აზიასა და აფრიკაში 13. პოეზიის ჟანრი 14. ძველად, გეიშა სუფრის მომსახურე ქალი იყო იაპონიაში, რა ერქვა მოწაფე გეიშას 15. რუმინელი მულტიპლიკატორი. გამოიგონა კიტრისთავიანი კაცუნას პერსონაჟი (სახელი) 17. რომელი ფრინველის სახელს უწოდებენ ახალზელანდიელები თავის თავს 19. სიტყვის ნაწილი. ნიშნავს ახალს 20. ინგლისელი ზღვაოსანი ჯეიმს ..., რომელიც ჰავაის კუნძულ კეალკეკუას აბორიგენების მსხვერპლი გახდა 22. რას იყენებენ აკუპუნქტურით მკურნალობის დროს 24. რომელი თამაშის ტერმინია "მარსი" 25. ნიშნავს ჩირქოვანს 26. პარკოსანი მცენარე, რომელიც ფესვებზე აზოტშემცველ კოჟრებს იკეთებს, რითაც ნიადაგს ანოყივრებს 27. სოფელი ბორჯომის რაიონში 29. ქედი, რომელზეც ევროპასა და აზიას შორის წარმოსახვითი საზღვარი გადის 30. ძველი ფრანგული სიგრძის ერთეული 31. იაპონიის დედაქალაქი, რომელიც ოფიციალურად არ არის ქალაქი, ის იაპონიის ერთ-ერთი პრეფექტურაა 32. რბილი სასის გაგრძელება 34. ხელის ერთთვლიანი საზიდარი 35. მოწყობილობა როიალში, რომელზეც დამაგრებულია პედლები

## ხ ს ო ვ ნ ა

### ზაზა პოპიაშვილი



შეუსრულებელ 40 წელს გილოცავ, ჩემო საყვარელო შვილო!

მაგიდაზე, შენი სურათების წინ დანთებული სანთლების ციმციმს და საკმევლის სურნელს შენთან ვატან მონატრებას, სიყვარულს, ამბორს და ცრემლიანი თვალებით გეუბნები. გილოცავ 40 წლისთავს იმქვეყნად, ზეცაში, შვილო. მოდის ჩემთვის ყოფილი სანატრელი, სასიხარულო 4 თებერვალი, ცრემლითა და მწუხარებით შეცვლილი.

შენი წასვლით დატოვებულ ტკივილს, ვერც 13 წელმა უშველა, საყვარელო. ძნელია შვილზე წერა, როცა იგი მოგონებად არის ქცეული. უზომო სულის ტკივილია უშენობა, ჩემო კეთილო, ალალო, სიცოცხლეზე და ცოლ - შვილზე გულდაწყვეტილო, 27 წლისად დარჩენილო შვილო. იმ საბედისწერო დღეს, აღდგომის დღეს, დღესასწაულზე, ბრწყინვალე შვიდეულის პირველსავე დღეს, უფალმა სამოთხის კარი გაგიღო და შენც შენი ფიქრებითა და აუსრულებელი ოცნებებით დაადექი სასუფევლის გზას. მოგიკვდეს დედა, ჩემო ზაზა, უფლის ნებას ვერავინ შეცვლის, მისი რწმენით ვახერხებ ამ გაუსაძლისი დღეების გადატანას. ზაზა, უშენობა ჩემი სხეულიდან ამოგლეჯილი გულია, რომელიც შენთან ერთად გაჩერდა. განა შეიძლება, დრომ უმკურნალოს დედის გულს?! ასე რად გაგვიმეტა ცხოვრებამ, შვილო. მინდა, კიდევ ძლიერად ჩაგიკრა გულში, მოგეფერო, ვიგრძნო შენი სითბო და სიყვარული, მინდა, დაგიკოცნო ლამაზი თვალები. მიყვარხარ, ტკივილამდე მიყვარხარ, ჩემო სიცოცხლევ.

სიცოცხლის ბედი არ გქონია, შვილო, თორემ სიყვარულის ნიჭი კი მოგცა ღმერთმა. უზომოდ გიყვარდა შენი ოჯახი, შენი საყვარელი ნათია და შენი საფიცარი ლიკა, რომელიც უკვე დიდი გოგოა, 18 წლის არის, შვილო. ხშირად მოვდივართ შენს საფლავზე, ყვავილებს მოგიტანს, სანთელს აგინთებს და რაღაცას გეჩურჩულება. იმქვეყნიდან ილოცე და დაეხმარე შენს შვილს.

ჩემო ზაზა, ჩემო შვილო, შენს საფლავზე, შენს სურათთან სანთელი და საკმეველი არ ჩამქრალა, ლოცვები და ფსალმუნები არ შემწყდარა, მაგრამ სიცოცხლე და სიხარული ჩაგვიქრა შენს მშობლებს, შენს ერთადერთ ძმას. შაიფერფლა და ქარს გაჰყვა ჩვენს გულებში ყველა იმედი და ოცნება, მაგრამ მადლობა უფალს, რომ ძალას მაძლევს და ამ საშინელ ტკივილს და მწუხარებას, რწმენით და ლოცვით მიმსუბუქებს.

ყველას ძალიან ენატრები, ჩემო ზაზა. დაბადების დღეს გილოცავს შენი ოჯახი, ბებიები, ბიძები, ბიძაშვილები, მეგობრები და მეზობლები. მოდიან შენს საფლავზე, გინთებენ სანთელს, ჭიქა ღვინოს წაგიქცევენ და უფალს შესთხოვენ, რომ ნათელში ამყოფოს შენი სული.

ღმერთო, გევედრები, სამოთხის პატარა ადგილი დაუთმე ჩემს ზაზას, რათა განისვენოს იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

შენი ოჯახი

## მ ო ნ ა ტ რ ე ბ ა

### ვანო ნაზარეთიანი



2 თებერვალს შენი მეოთხე დაბადების დღე მოვიდა უშენოდ, თუმცა ჩვენ გვჯერა, რომ მარადიული ქვეყნიდან დაგვყურებ და ჩვენთვის ლოცულობ, როგორც ჩვენ შენთვის აქედან, დროებითი სამყოფელიდან. ეს დღე ჩვენთვის დიდი მწუხარების და ასევე დიდი სიხარულის სწორია.

ისე არ ჩაივლის არცერთი დღე, რომ არ გაგიხსენოთ, რომ არ მოვიგონოთ შენი განვლილი ცხოვრება, თუმცა ხანმოკლე, მაგრამ ლამაზი, მღელვარე, მოუსვენარი და სიყვარულით სავსე.

აი, ისევ დადგა 2 თებერვალი, შენ 36 წელი შეგისრულდა, ჩვენ ისევ მოვედით შენს მარადიულ სამყოფელთან, რათა მოგილოცოთ და გითხრათ- იძინე მშვიდად და უშფოთველად, ილოცე ჩვენთვის, ღმერთს ებარებოდე!

შენი მშობლები, ძმა და მეგობრები.

---

მეუღლე: დომენტი, შვილი მიშიკო, შვილიშვილები: სალომე, დიმა, ნათია, შვილთაშვილები: ანა, მაშო, სოფი, და დოდო, დისშვილები, ძმისშვილები, მაზლისშვილები მწუხარებით იუწყებიან

სალომე ლომიძის

გარდაცვალებას. დაიკრძალა 31 იანვარს ზემო მაჩხაანში.

---

დოდო, გივი, სვეტა ლომიძეები იუწყებიან ახლობლის

სალომე ლომიძის

გარდაცვალებას.

---

გაზეთ „შირაქის" რედაქციის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ სალომე ნატროშვილს ბებიის

სალომე ლომიძე-ნატროშვილის

გარდაცვალების გამო.

---

ზემო მაჩხაანის საშუალო სკოლის 1980-81 სასწავლო წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან პედაგოგის

სალომე ლომიძე-ნატროშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

# დისკრიმინაცია და თანასწორობა

***„კანონის წინაშე თანასწორობა არ ნიშნავს... აბსოლუტურ თანასწორობას, სახელდობრ კი ადამიანთა მოპყრობას მათი ინდივიდუალური კონკრეტული გარემოებების გათვალისწინების გარეშე, არამედ იგი ანსახიერებს პრინციპს, რომლის თანახმადაც თანაბრად უნდა განხორციელდეს მოპყრობა მათდამი, ვინც იმყოფებიან თანაბარ მდგომარეობაში, ასევე თანაბრად უნდა განხორციელდეს მოპყრობა მათდამი, ვინც არ იმყოფებიან თანაბარ მდგომარეობაში“.***

საქართველოს კანონის თანახმად, დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი. ამ ფუნქციის განსახორციელებლად სახალხო დამცველის აპარატში შექმნილია თანასწორობის დეპარტამენტი. დისკრიმინაციასთან ბრძოლის ფარგლებში, სახალხო დამცველის ერთ-ერთი ფუნქციაა, თანასწორობის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. რამდენიმე დღის წინ დედოფლისწყაროს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები სტუმრობდნენ: ᲓᲘᲐᲜᲐ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲫᲔ, **სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტის იურისტი და სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტები:** ᲐᲜᲐ ᲙᲕᲐᲭᲐᲫᲔ და ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲐᲙᲐᲜᲐᲫᲔ. მათ დედოფლისწყაროელ აუდიტორიასთან შეხვედრა გამართეს ახლადგახსნილ „ქალთა ოთახში“ (ხელმძღვანელი ანა ბენაშვილი), სადაც ისაუბრეს დისკრიმინაციის მნიშვნელობაზე, მის ფორმებზე, კანონმდებლობაზე, სტატისტიკაზე, აღსრულების მექანიზმებსა და გენდერულ სტერეოტიპებზე.



რა არის დისკრიმინაცია და რატომ ახორციელებენ ადამიანები დისკრიმინაციულ ქცევას?

ტერმინი „დისკრიმინაცია“ მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან Discriminato, რაც ნიშნავს განსხვავებას, და ამის გამო არათანაბარ მოპყრობას. არსებობს დისკრიმინაციის სხვადასხვა სახეები:

**რასიზმი**-დისკრიმინაციული ქცევა რომელიმე რასის ადამიანების მიმართ.

**სექსიზმი**-დისკრიმინაციული ქცევა, რომელიც მიმართულია ამა თუ იმ სქესის ადამიანების( უმეტესად ქალების) მიმართ.

**ასევე აქტუალურია დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციის, რელიგიური მრწამსისა და ეროვნულობის გამო.**

ადამიანებს აქვთ ტენდენცია, მოიპოვონ გარშემომყოფთა მოწონება. ამისათვის საზოგადოებაში მიღებული წესებით მოქმედებაა საჭირო.რადგან დისკრიმინაციული ქცევა უარყოფითად ფასდება, საჭირო გახდა უფრო დახვეწილი ფორმების შემუშავება. თუ ადამიანი დავისას მხარს უჭერენ განსხვავებული კანის ფერის ადამიანს, იმის გაუთვალისწინებლად, თუ ვინ არის მართალი, საქმე პოზიტიურ დისკრიმინაციასთან გვაქვს. ამ შემთხვევაში ადამიანები უარყოფენ დისკრიმინაციის არსებობას, მაგრამ არც თანაბარუფლებიანობას აღიარებენ, ე.ი. შენარჩუნებულია ნეგატიური განწყობა, უბრალოდ, შეცვლილია გამოხატვის ფორმა.

**დისკრიმინაცია, იქნება ის პოზიტიური თუ ნეგატიური, ქმნის სოციალური კონფლიქტების საფრთხეს, ამიტომ მის აღმოფხვრაზე ზრუნვა აუცილებელია. საჭიროა ჯგუფებს შორის თანამშრომლობის საჭიროების გაზრდა, ( ადამიანის ქცევას მოთხოვნილების დაკმაყოფილების სურვილი წარმართავს, თუ მისთვის ქცევის ღირებულება მაღალია, ის ყველა შემთხვევაში განახორციელებს მას, მაშინაც კი თუ ეს მისთვის არასასურველი ჯგუფის წევრის დახმარებით მოხდება), რაც დაეხმარება მათ ერთმანეთის უკეთ გაცნობაში და ცრურწმენების შემცირებაში.არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ადამიანს პატივი უნდა ვცეთ არა მისი სოციალური ჯგუფის, არამედ მისი პიროვნების გამო, მითუმეტეს იმ შემთხვევაში, თუ მას ეს სოციალური ჯგუფი თავად არ აურჩევია.**

დისკრიმინაცია გამოხატულებას საქმიანობის ყველა დარგში პოულობს და სამართლის ყველა დარგის სფეროში ექცევა სხვადასხვა დოზით. ის შეიძლება შეგვხვდეს სისხლის სამართალშიც, სამოქალაქო სამართალშიც, ძირითადი უფლებების სამართალში და სხვ.

***მის ფორმებს და გამოხატულებებს ვხვდებით შრომის სამართალშიც. მისი გამოვლენის ყოველგვარი საშუალება იქ აკრძალულია, თუმცა, არსებობს გარკვეული სახის გამონაკლისები კონკრეტულ საქმესთან მიმართებითაც.***

დისკრიმინაციული მოპყრობის აკრძალვა არ არის ახლი მოვლენა ჩვენი სამართლებრივი სისტემისათვის, ის დაგმობილი იყო ჯერ კიდევ 1921 წლის პირველი ქართული კონსტიტუციით, რომელიც თავისი იდეური ფასეულობებით ევროპის მოწინავე ქვეყნების კონსტიტუციების გვერდით იდგა და ზოგიერთი უფლების აღიარებაში მათზე მოწინავეც კი იყო.

**ადამიანის ძირითადი უფლებების აღიარება ქართულ სამართლებრივ სივრცეში 1995 წლის 24 ივლისს მიღებულ კონსტიტუციაშიც იქნა გაჟღერებული. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია გავმცნობს, რომ მოქალაქეებამა, კონსტიტუციის მიღებით გამოხატეს ურყევი ნება დაამკვიდრონ სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, უზრუნველყონ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები და თავისუფლებები.**



ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (საერთაშორისო აქტი მიღებული 1948 წლის 10 დეკემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ), კრძალავს ყოველგვარი სახის დისკრიმინაციას და ჩვენ, როგორც გაეროს წევრი ქვეყანა, ვუერთდებით ამ აკრძალვას საქმიანობის ყველა სფეროში მის გამოვლენას და პირთა დიფერენცირებას რაიმე დისკრიმინაციული ნიშნით კატეგორიულად ვგმობთ.

დისკრიმინაციად ჩვენ შეიძლება ჩავთვალოთ საზოგადოების ერთი წევრის ან ნაწილის მიერ მეორე პირის ან პირთა ჯგუფის უფლებების შეზღუდვა ან დარღვევა მასზე/მათზე უპირატესობის დემონსტრირების მიზნით. სქესის, რასის, გენდერის, სოციალური სტატუსის, რელიგიური ან პოლიტიკური მრწამსის, სექსუალური ორიენტაციის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის ნიადაგზე.

შესაძლოა სახელმწიფოში მოხდეს ისეც, რომ უფლების შეზღუდვა მხრდაჭერილი იყოს კანონისმიერი, ლეგიტიმური გამართლების გარეშე, რაც ყოვლად მიუღებელია.

**დისკრიმინაციის აკრძალვამ გარკვეული სახეცვლილებები განიცადა ქართულ შრომით კანონმდებლობაში. 2006 წლის ვერსიაში და 2013 წლის ახალ შრომის კოდექსშიც, რომელიც გაცილებით მობილური და დაცვითია დასაქმებულთათვის, ეს კოდექსი თავისი ცვლილებებით უფრო სუსტი მხარის -დასაქმებულთა ინტერესების დაცვაზეა მოწოდებული, რასაც ვერ ვიტყოდით 2006 წლის შრომის კოდექსზე, თუმცა დისკრიმინაციული მოპყრობა იქაც აკრძალული იყო. ახალი ცვლილებებით დამსაქმებლის მხრიდან დისკრიმინაცია (სქესობრივი, რასობრივი, ეროვნული, რელიგიური და ა.შ.) იკრძალება არა მარტო შრომითი ურთიერთობების დროს (მუშაობისას), არამედ წინასახელშეკრულებო ურთიერთობის დროსაც (ასევე აპლიკაციის განხილვის დროს), ასეთ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება დამსაქმებელს.** შრომის კოდექსის ძველი ვერსიით კი დამსაქმებლის მხრიდან დისკრიმინაცია იკრძალებოდა მხოლოდ შრომითი ურთიერთობის დროს.

**სახელმწიფოს როლი, ვალდებულება და პასუხისმგებლობა განუზომლად დიდია დისკრიმინაციის ეფექტურ პრევენციაში, რადგანაც მართლაც, რომ მრავლად არსებობს საშუალებები, გზები და ხშირად, სამწუხაროდ, სურვილიც (განზრახ ან დუმილით გამოხატული) არათანაბარი მოპყრობის განხორციელებასთან დაკავშირებით. პრაქტიკაში უმეტესწილად გვხვდება დისკრიმინაციის გამოვლინება პირდაპირ და არაპირდაპირ ფორმებში.**

* * *

ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაციის ფაქტის აღმოჩენისას მიმართეთ სახალხო დამცველის აპარატს, რომლის თანამშრომლებიც აღმოგიჩენენ კვალიფიციურ დახმარებას და ყველა სამართლებრივ ბერკეტს გამოიყენებენ უთანასწორობის აღმოსაფხვრელად.

**მასალა მოამზადა**
ᲘᲜᲒᲐ ᲨᲘᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ

# 2018 წლის წარმატებული ადამიანები და შპს–ები გამოვლინდნენ

2018 წელი იუნესკოს ეგიდით თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსტიტეტის წლად იყო გამოცხადებული. ამ თარიღის აღსანიშნავად გაზეთ „საქართველოს ლირიკის“ და საქველმოქმედო საზოგადოება „ამაგდარის“ მიერ გამოვლინდნენ საქართველოს მასშტაბით 2018 წლის წარმატებული ადამიანები და შპს-ები:

**წლის ადამიანი** - ᲘᲜᲔᲡᲐ ᲛᲔᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ - ბაირონის სკოლის დირექტორი (თბილისი)

**წლის ადამიანი** - ᲛᲐᲠᲘᲜᲐ ᲛᲐᲭᲐᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘ–ᲐᲜᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ -ზურაბ ანჯაფარიძის ფონდის პრეზიდენტი (თბილისი)

**წლის ადამიანი** - ᲗᲐᲛᲐᲠ ᲛᲝᲫᲚᲕᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ - წარმატებული მეწარმე ქალი (დედოფლისწყარო)

**წლის ადამიანი** - ᲜᲐᲜᲐ ᲭᲘᲭᲘᲜᲐᲫᲔ - ჟურნალისტი (თბილისი)

**წლის ადამიანი** - ᲚᲘᲐ ᲝᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ - წარმატებული მეწარმე ქალი (დედოფლისწყარო)

**წლის ადამიანი** - ᲜᲐᲜᲣᲚᲘ ᲜᲐᲢᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ - ღვაწლმოსილი პედაგოგი (დედოფლისწყარო)

**წლის ადამიანი** - ᲛᲐᲠᲘᲜᲔ ᲪᲮᲕᲔᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ - პოეტი (რუსთავი)

**წლის ადამიანი** - ᲜᲐᲜᲘ ᲡᲐᲑᲐᲜᲐᲫᲔ - პოეტი, პუბლიცისტი (თბილისი)

შპს სასწავლო ცენტრი „სპექტრი“- დირექტორი ᲜᲣᲜᲣ ᲪᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ (დედოფლისწყარო)

შპს გაზეთი „შირაქი“ - დირექტორი - ᲘᲜᲒᲐ ᲨᲘᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, რედაქტორი - ᲜᲐᲘᲠᲐ ᲒᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ (დედოფლისწყარო).

საქველმოქმედო საზოგადოება „ამაგდარის“ მიერ დაჯილდოვება გაიმართება 2019 წლის 7 თებერვალს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში დღის პირველ საათზე. მისამართი: თბილისი, გუდიაშვილის ქ. №7.

დაჯილდოვებულთა პატივსაცემად გაიმართება საფორტეპიანო მუსიკის კონცერტი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი მუსიკოს-შემსრულებლები: **კონცერტმაისტერი ნანა გელაძე, კომპოზიტორი მაყვალა ხორბალაძე-ლაშქარაშვილი, კონცერტმაისტერი და ასისტენტ- პროფესორი ნათია ქავთარაძე, არაერთი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი სანდრო შუბითიძე, თბილისის კონსერვატორიის პირველი კურსის წარჩინებული სტუდენტი ელენე შავერზაშვილი. კონცერტში სპეციალური სტუმრის სტატუსით მონაწილეობას მიიღებს სანკტ-პეტერბურგის და თბილისის კონსერვატორიების კურსდამთავრებული და ამავე ქალაქების ოპერების კონცერტმაისტერი ვიქტორია ჩაპლინსკაია, რომელიც მევიოლინე ქეთინო თავშავაძესთან ერთად შეასრულებს ქართველი და ამერიკელი კომპოზიტორების ნაწარმოებებს.**

## უ ლ ო ც ა ვ ე ნ !

### ᲙᲝᲑᲐ ᲐᲚᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲡ, ᲛᲐᲘᲐ ᲖᲔᲓᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲡ!

გილოცავთ შვილების – ᲚᲔᲕᲐᲜ ᲐᲚᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ და ᲐᲜᲐ ᲙᲝᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ქორწინებას. სიხარული და სიყვარული ყოფილიყოს მათი ცხოვრების თანამგზავრი, თეთრად შეაბერდნენ ერთმანეთს და აივსონ შვილებითა და შვილიშვილებით. თქვენ კი გაიხარეთ მათი ბედნიერებით. ღმერთი გფარავდეთ.

**სიყვარულით, ბიძა** ᲯᲘᲛᲘ ᲐᲚᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ, **ბიცოლა** ᲚᲘᲚᲘ ᲑᲝᲭᲝᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
**ბიძაშვილები:** ᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲒᲘᲐ ᲐᲚᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲝᲯᲐᲮᲔᲑᲘᲗ.

## მადლიერება

26 იანვარის გაზეთში გამოვაქვეყნე განცხადება „რუსული ენის თვითმასაწავლებლის“ შეძენის თაობაზე. გაზეთის გამოსვლის მეორე დღესვე დამიკავშირდა ჩვენი თანამოქალაქე, ყველასთვის საყვარელი მომღერალი **ვასიკო ტუხაშვილი** და უსასყიდლოდ გადმომეცა ჩემთვის სასურველი წიგნი. დიდ მადლობას ვუხდი მას გულისხმიერების და უანგარობისთვის.

ᲜᲐᲘᲠᲐ ᲒᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ

## ყურადღება!

დიდი ხანია, ქ. დედოფლისწყაროში, ბარათაშვილის ქ. №4-ში, ფუნქციონირებს სილამაზის სალონი „ᲘᲛᲘᲯᲘ“ (ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე). სალონში კიდევ შესაძლებელია ფრჩხილების მოწესრიგება, გელ-ლაქის გაკეთება და ფრჩხილების დაგრძელება.

## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 04.02 | | სამშაბათი 05.02 | | ოთხშაბათი 06.02 | | ხუთშაბათი 07.02 | | პარასკევი 08.02 | | შაბათი 09.02 | | კვირა 10.02 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 1° | 0° | 0° | –1° | 3° | 1° | 3° | 1° | 7° | 6° | 4° | 2° | 2° | 1° |

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ᲘᲜᲒᲐ ᲨᲘᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
რედაქტორი ᲜᲐᲘᲠᲐ ᲒᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ-ᲙᲝᲙᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ᲘᲚᲘᲐ ᲛᲐᲠᲢᲧᲝᲤᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ (ჟურნალისტი); ᲔᲚᲖᲐ ᲮᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ (სტილისტ-მენეჯერი); ᲜᲐᲗᲔᲚᲐ ᲑᲝᲡᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ (ბუღალტერი); ᲜᲘᲐᲖᲘ ᲯᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ (ოფის-მენეჯერი) ; ᲛᲖᲘᲐ ᲫᲔᲜᲫᲐᲫᲔ (დისტრიბუტორი); ᲖᲣᲠᲐᲑ ᲑᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

REDAQCIIS MISAMARTIA:
ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.